ახალგაზრდა კომუნისტი

ხუთშაბათი,
18 იანვარი,
1990 წ.
№ 7 (11493)

საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ორგანო

«АХАЛГАЗРДА КОМУНИСТИ» — ОРГАН ЦК ЛКСМ ГРУЗИИ

გაზეთის პირველი ნომერი
გამოვიდა 1921 წლის 13 აგვისტოს.

ფასი 3 კაპ.

ჩვენი მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქუჩა № 14 ([illegible]) ტელეფონები: ინფორმაციისათვის – 93-97-31, წერილების განყოფილება – 93-38-52, სამდივნო – 93-31-56

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

საინფორმაციო ცნობა

საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაზე

16 იანვარს საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა ბიუროს სხდომა, რომელზეც აღინიშნა, რომ კომკავშირული ქალაქი ბორის ძნელაძე აშენდა არა მხოლოდ კომკავშირელთათვის, არამედ მთელი საქართველოს ახალგაზრდობისათვის. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად ჩაითვალა, ეწოდოს კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელაძეს ახალგაზრდული ქალაქი, ხოლო ტერიტორიას, რომელზეც იგი მდებარეობს, დაუბრუნდეს ისტორიული სახელი შავნაბადა.

საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრესცენტრის პუბლიკაციაში — „ერთობლივად გადავწყვიტოთ" („ახკომი", 16 იანვარი) აღინიშნა:

„ნეტამც, გვანახა გულდაჟანგულ შავნაბადას ფერდზე შეფენილ ამ უბრწყინვალეს ალაგას მტკიცე მუშტად შეკრული საქართველოს ახალგაზრდობა, მსოფლიოში მცხოვრები ყველა ქართველი, დიდი და ნათელი მიზნისათვის შემართული თანამედროვეობა, იმ მიზნისათვის, საქართველოს დამოუკიდებლობა რომ ჰქვია!"

მართლაც, ახალგაზრდული ქალაქის საკითხი სრულიად საქართველოს ახალგაზრდობამ უნდა გადაწყვიტოს.

ვისწავლოთ ფინანსური მართვა

ახალგაზრდა ეკონომისტის ლევან ქისტაურის მოსაზრებები რესპუბლიკის საფინანსო-ეკონომიკურ პრობლემებზე

მე-2 გვ.

საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის სამეცნიერო საბჭოს პოლემიკური წერილი

საჭიროა თანადგომა

მე-4 გვ.

ქართული მზორგავი სული

ჩვენი თანამემამულენი საზღვარგარეთ

მე-5 გვ.



სამაჩაბლო საქართველოა!

ეს სათაური ინფორმაციას სამაჩაბლოდან ჩამოსული ქართველების თხოვნით წარუმძღვარეთ. სამწუხაროდ, დღეს ხშირად გვიხდება გამეორება, რომ სამაჩაბლო, ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, საქართველოა.

16 იანვრიდან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის ფოიეში იმყოფება სამაჩაბლოდან ჩამოსული ქართველი დედების ერთი ნაწილი (34 ქალი), რომელიც თბილისში ოლქში შექმნილმა მძიმე მდგომარეობამ ჩამოიყვანა.

რომელი ერთი ჩამოვთვალოთ, — გვითხრეს მათ, — ბოლოსდაბოლოს, სამაჩაბლო ხომ საქართველოა, მაშ რატომ და როდემდე უნდა პირპაშობდნენ იქ ოსი ექსტრემისტები, როდემდე უნდა სცემონ, შეურაცხყონ და სიკვდილითაც გაუსწორდნენ ადამიანებს მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ქართველები არიან, როდემდე ეშინოდეს ქართველ დედას, გარეთ გასული შვილი ცოცხალი დამიბრუნდება თუ არაო, როდის ელირსებათ ქართველ ბავშვებს სკოლაში სიარული, როდის ჩამოაღწევს ჩვენამდე ქართული ჟურნალ-გაზეთები, როდის ითქმება მთელი სიმართლე იმაზე, რაც დღეს სამაჩაბლოში ხდება?! თუ იმას ელოდება მავანი და მავანი, რომ ბოლოსდაბოლოს ქართველის მოთმინების ფიალაც აივსება და...

სამაჩაბლოდან ჩამოსულ ქართველ ქალთა მჯდომარე აქციის მონაწილენი მოითხოვენ: **გაუქმდეს როკის გვირაბი, საიდანაც სამაჩაბლოს ოსი მოსახლეობა იარაღით მარაგდება; ოსი მოსახლეობიდან დაუყოვნებლივ იქნას ამოღებული უკვე შემოტანილი იარაღი; სასტიკად დაისაჯოს ყველა, ვინც ამდენი უდანაშაულო ქართველის სისხლი დაღვარა; გაუქმდეს უკანონოდ შექმნილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.**

●

გაზეთი დასაბეჭდად მზად იყო, როცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის კლუბში რუსთაველის საზოგადოების პირველადი ორგანიზაციის ინიციატივით მოეწყო მშრომელთა კრება, რომელსაც დაესწრნენ სამაჩაბლოდან ჩამოსული ქართველები და ოსები. გაიმართა პრინციპული საუბარი, რომლის დროსაც მთელი სიმწვავითა და გულახდილობით ითქვა სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველების დევნისა და შევიწროვების შესახებ, რომელიც სულაც არ დაწყებულა 23 ნოემბრის შემდეგ და რომლის ფესვები გაცილებით შორს არის საძიებელი. ითქვა, რომ სოფლებში კი დგას მილიციის ქართული რაზმები, მაგრამ მათ არც ჩხრეკის და იარაღის ამოღების უფლება აქვთ და არც მისი გამოყენების. ისიც ითქვა, რომ დაძაბულია მთელი მოსახლეობა, ბავშვებიც კი გრძნობენ და განიცდიან ამ ამბებს. ერთმა ჩაბეთელმა ქალმა ისიც კი თქვა ცრემლნარევი ხმით, რომ ჩემს სამი წლის შვილიშვილს ერთი კარადა აქვს ამორჩეული და მალ-მალე იმეორებს, ბებო, მე აქ შევძვრები და დავიმალები, რომ არ მომკლანო. ახალგაზრდობის ჯანმრთელობას ხომ ნამდვილად ემუქრება საფრთხე ამ ყინვა-ყიამეთში დღე და ღამ გარეთ ყოფნით, რომ აღარაფერი ვთქვათ ასეთ ნერვიულ დაძაბულობაზე. კრებაზე გამოვიდნენ სამაჩაბლოდან ჩამოსული ოსი ქალებიც. მათ თქვეს, რომ ისინი საქართველოს მიწაზე დაიბადნენ და აქვე უნდა დაიმარხონ, რომ მათივე თანასოფლელი ქართველი უნდა იყოს მათი ჭირისუფალი. ისინი ამ შეგნებით ცხოვრობენ და არასოდეს ფიქრადაც არ გაივლებენ ქართველი ხალხის ღალატს. მათ რცხვენიათ თავიანთი თანამოძმეების უმადურობის გამო. ის კი არა და, საჭიროდ თვლიან, რომ ქართველი ხალხის ინტერესების წინააღმდეგ აღმდგარი ნებისმიერი ადამიანი, რა ეროვნებისაც არ უნდა იყოს იგი, მოიკვეთოს, გაძევებულ იქნას საქართველოს ტერიტორიიდან.

ამჯერად თბილისში ოლქიდან ჩამოსულთა ოთხი ჯგუფი ელის მთავრობისაგან გადამჭრელი ზომების მიღებას, ერთი მათგანი — ცენტრალური კომიტეტის ვესტიბიულში, მეორე — პრეზიდიუმის შენობაში, მესამე — ტელევიზიასთან, მეოთხე კი, როგორც გითხარით, გამომცემლობის ვესტიბიულში. ამ შეკრებაზე თქვეს, რომ კიდევ ექვსი ჯგუფია გასანაწილებელი. რაღას ველოდებით, იქნებ იმას, თუ როდის გაცივდება კერა უქალოდ დარჩენილ ოჯახებში?...

გულნარა ბაშარული,
რუსუდან ლებანიძე,

ალბერტ ვაჩიანის ფოტო.

ახალგაზრდული ოჯახების კეთილდღეობისათვის

საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის · პრესცენტრი ·

როგორც საზოგადოებისათვის ცნობილია, საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოყო 2 000 000 მანეთი საქართველოში დემოგრაფიული მდგომარეობის გაჯანსაღებისათვის. აქედან მილიონი მანეთი საახალწლოდ უკვე გადაირიცხა სტიქიით დაზარალებული აჭარლებისათვის ქვემო ქართლში გამოთავისუფლებული ბინების შესასყიდად.

ამ დღეებში საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით, ახალგაზრდული ლატარიის შემოსავლიდან გამოიყო 70 ათასი მანეთი ზესტაფონის რაიონში სტიქიით დაზარალებული ახალგაზრდა ოჯახებისათვის საცხოვრებელი ბინების ასაშენებლად. ამასთანავე, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების, დავით აღმაშენებლის საზოგადოებისა და გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" რედაქციის შუამდგომლობის საფუძველზე, ლენტეხის რაიონის სოფელ კახურში მცხოვრები მ. ლიპარტელიანისათვის, რომლის ოჯახიც 1987 წლის დიდთოვლობის შედეგად უსახლკაროდ დარჩა, გარდაბნის რაიონის სოფელ თელეთში საცხოვრებელი ბინის შესასყიდად გამოიყო 40 ათასი მანეთი.

გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ დაავალა ახალგაზრდული მშენებლობის განყოფილებას (ს. ბექანიძე).

ჩვენი სადისკუსიო კლუბი

ვისწავლოთ ფინანსური მართვა

ჩვენი სახელმწიფოს შექმნისთანავე ჩამოყალიბებულმა და მომდევნო პერიოდში „დახვეწილმა“ ეკონომიკურმა სისტემამ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ვერ გაამართლა. ქვეყანამ, რომელსაც გააჩნდა უზარმაზარი მატერიალური და ინტელექტუალური რესურსები, ვერ უზრუნველყო საკუთარი ეკონომიკა ნედლეულითა და მოწყობილობით, მოსახლეობა — პირველადი მოხმარების საგნებით, ხოლო სისტემა გამართული ფუნქციონირებით.

ასეთ პირობებში ობიექტურად წარმოიშვა მოთხოვნილება არსებული ყაზარმულ-ეკონომიკური სისტემიდან თავისუფალ საბაზრო ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლისა, ეკონომიკის მართვის მბრძანებლურ-ადმინისტრატული მეთოდების ნაცვლად სამეურნეო ცხოვრების საფინანსო-საკრედიტო ბერკეტების საშუალებით რეგულირებისა.

ქვეყანაში მიმდინარეობს ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმა. მართალია, ძნელია სამოცდაათი წლის მანძილზე გამყინვარების პროცესში მყოფი ეკონომიკის გალღვობა და სულის შთაბერვა ოთხი წლის განმავლობაში, მაგრამ დამშეული, ადამიანურ პირობებს და უფლებებს მოკლებული, მომავლისკენ ეჭვის თვალით მზირალი, მოთმინებადაკარგული ხალხი რადიკალურ რეფორმებს და შედეგებს მოითხოვს უმოკლეს ხანაში.

გასაკეთებელი ძალზე ბევრია. შესაქმნელია ძირეულად განსხვავებულ საფუძველზე დამყარებული ეკონომიკური სისტემა, არსებულის მნიშვნელოვანი ნაწილი დასანგრევია. ასეთ სიტუაციაში აუცილებელია მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების მაგალითის გაცნობა, მათი ეკონომიკური სისტემის მამოძრავებელი ზოგიერთი რგოლისა და პრინციპების შესწავლა, დანერგვა, გამოყენება ჩვენს პირობებში. მრავალი ათწლეულების განმავლობაში ჩვენ პატარა ბავშვებივით ჯიუტად ვიმეორებდით — „ეს კაპიტალისტურია და, მაშასადამე, ცუდი და მიუღებელი, ეს კი სოციალისტური და, რა თქმა უნდა, სასიკეთო“, ჩვენს ნაჭუჭში ვიყავით მოქცეული და კატეგორიულად უგულვებელვყოფდით ყოველივე მათეულს (და თანაც ეს ითვლებოდა პატრიოტიზმის და ერთგულების ნიშნად, იმის ნაცვლად, რომ ყველაფრისათვის თავისი სახელი დაგვერქვა, შევშვებოდით უვარგისის გადარჩენას და მის ნაცვლად მართლაცდა ჯანსაღი სტრუქტურა შეგვექმნა), ამ დროს კი მეორე მხარე დოგმებს არ მისდევდა, ხარბად ითვისებდა ჩვენგან ყველაფერს, რასაც კი დადებითი შედეგის მიცემა შეეძლო მათთვის. ძალაუნებურად გაგახსენდება რაბინდრანატ თაგორის სიტყვები — „ჩვენ ჩავკეტეთ კარები, რათა არ შემოსულიყო ცდომილება, მაგრამ მაშინ საიდანღა შემოვა ჭეშმარიტება“...

ამ ცოტა ხნის წინათ ეს კარი გაიღო უნივერსიტეტის სტუდენტთა ჯგუფისადმი, რომელიც ეწვია ამერიკის შეერთებულ შტატებს. ჯგუფში ამ სტრიქონების ავტორიც იყო. ვნახეთ ვაშინგტონი, ნიუიორკი, ბოსტონი. ამას გარდა ორი კვირის განმავლობაში ვცხოვრობდით ერთ-ერთი საუკეთესო კერძო კოლეჯის, ვილიამს კოლეჯის სტუდქალაქში, ვისმენდით ლექციებს, შეძლებისდაგვარად გავეცანით ამერიკელ ხალხს, მათ კულტურას, რელიგიას, ეკონომიკას, პოლიტიკას. ვნახეთ კარგიც და ცუდიც, ჩვენთვის სასარგებლოც და ურგებიც.

მე, როგორც ეკონომისტმა, ბევრი რამ გავიგე და შევიძინე ამ სფეროში. შევეცდები ჩემი „აღმოჩენებიდან“ გარკვეული დასკვნები გავაკეთო, ვინ იცის, იქნებ ეს საინტერესო იყოს ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმის და მისი მართვის უკეთესი ფორმების ძიების პირობებში.

პირველ რიგში მინდა ვთქვა გადასახადების შესახებ. ეს ძალზედ რთული საკითხია, ბოლომდე ამოუცნობი თვითონ ამერიკელებისთვისაც და, თქვენ წარმოიდგინეთ, სპეციალისტებისათვისაც კი. მასში გასარკვევად საჭიროა გაეცნო რამდენიმე ათეულ სქელტანიან ტომს, რომელშიც მოცემულია გადასახადთა მთელი საიდუმლოება და არსი. ცხადია ამ სფეროში ბევრი რამ გაუგებარია, მიუწვდომელია ჩვენთვის. გასაგებია ძირითადი, რომ გადასახადები, საგადასახადო სისტემა წარმოადგენს ამერიკის ვებერთელა, მრავალპლანიანი, უაღრესად რთული და მაღალეფექტური ეკონომიკის მართვისა და რეგულირების მთავარ საშუალებას. იქ წარმოების გეგმების შეუსრულებლობისათვის, ჩაწოლილი საქონლისათვის არც არავის ტუქსავენ, არც ბიუროზე იბარებენ და არც ცენტრიდან თითს უქნევენ, ამას აკეთებს საგადასახადო სისტემა, რომელიც ყველას ერთი საზომითა და საწონით აფასებს და სჯის, სულერთია ის პრეზიდენტია თუ რიგითი მოქალაქე. როგორია მისი ავტორიტეტი, „ამაზე მეტყველებს ის შიში, მოწიწება და ამავე დროს პატივისცემა, რითაც ლაპარაკობენ ამერიკელები, დიდი თუ პატარა, 15 აპრილის, გადასახადის გადახდის უკანასკნელი ვადის შესახებ. როგორც გაირკვა, გადასახადებთან დაკავშირებული ერთი შეხედვით სულ უმნიშვნელო უწესრიგობაც კი მკაცრად ისჯება: ვადის გადაცილებას თან სდევს მნიშვნელოვანი ჯარიმა, საგადასახადო უწყების მოტყუების (შემოსავლის დაფარვის და სხვა) მცდელობა ისჯება სისხლის სამართლის წესით.

გადასახადს იხდიან ფედერალური, შტატის და ადგილობრივი ბიუჯეტის დონეზე.

გადამხდელი საგადასახადო უწყებაში ავსებს დეკლარაციას, სადაც მიუთითებს თავის ყველა სახის შემოსავალს — ხელფასი, ბანკში არსებულ ანაბრებზე ნამატი პროცენტი, უძრავ-მოძრავი ქონების გაყიდვის შედეგად მიღებული სახსრები, ალიმენტი, შემთხვევით გამომუშავებული ფული, ნაჩუქარი და ა. შ. მეორე დეკლარაციაში აღირიცხება ყველა ის ხარჯები, რომლებიც არ იბეგრება. რამდენი პირიც არის გადამხდელის კმაყოფაზე, იმდენჯერ 1950 დოლარი თავისუფალია გადასახადისაგან, არ იბეგრება ქველმოქმედებაზე შეწირული, სამედიცინო მომსახურებაზე დახარჯული თანხები და, რაც ძალზე საინტერესოა — ბიზნესის საჭიროებისათვის გაღებული სახსრები (მაგალითად, თუ საკუთარი სახსრებით მოხდა სამსახურისათვის საჭირო კომპიუტერის შეძენა, საკუთარ ხარჯზე შეაკეთა ოფისი ან თუ საკუთარი ხარჯით იმოგზაურა კომპანიის, კორპორაციის საქმეზე და ა. შ.). როგორც ვხედავთ იბეგრება მხოლოდ სუფთა მოგება.

ამერიკელები დიდი პატივისცემით და მოწონებით მოიხსენიებენ პრეზიდენტ რ. რეიგანის მიერ გატარებულ საგადასახადო რეფორმას. მის არჩევამდე, 70-იანი წლების ბოლოს და 80-იანი წლების დასაწყისში აშშ-ის ეკონომიკა გარკვეულ სიძნელეებს განიცდიდა და იმისათვის, რომ გაზრდილიყო შემოსავალი ფედერალურ ბიუჯეტში, გაუმჯობესებულიყო ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა სულ უფრო მაღლა და მაღლა წევდნენ გადასახადის განაკვეთებს და საბოლოოდ ინდივიდუალურმა საშემოსავლო გადასახადმა მიაღწია 70 პროცენტს, ხოლო გადასახადმა კორპორაციებიდან კი 40 პროცენტს. მაგრამ ამას მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მოყოლია, ქვეყანა კრიზისულ მდგომარეობაში ექცეოდა. პრეზიდენტი რეიგანის მიერ 1986 წელს განხორციელებულმა რეფორმამ მნიშვნელოვნად შეამცირა ინდივიდუალური საშემოსავლო და კორპორაციათა გადასახადი. ახალმა სისტემამ უპირატესობა მიანიჭა მათ, ვინც სახსრებს აბანდებდა კვლევით და სამეცნიერო სფეროში (თანხის ეს ნაწილი მთლიანად გათავისუფლებულია დაბეგვრისაგან), გარკვეული შეღავათები აქვთ პატარა და ახლად შექმნილ საწარმოებს, ფირმებს, ზოგიერთი მათგანი პირველი 5 წლის განმავლობაში საერთოდ თავისუფლდება გადასახადისაგან.

ეს რეფორმა ჩვენს ქვეყანაში ნეგატიურად იყო წარმოდგენილი, როგორც ინფორმაციის საშუალებები გვაუწყებდნენ, „მდიდრები მდიდრდებიან, ღარიბები კი ღარიბდებიანო“. მაგრამ როგორც ვხვდებოდით, და, როგორც ეხლა ვხედავთ, ეს ასე არ არის. გაუგებარი იყო მხოლოდ ერთი რამ, რატომ თქვა ფედერალურმა მთავრობამ თვითონვე უარი საკუთარი შემოსავლების უდიდეს ნაწილზე და ამით როგორ გაჯანსაღდა ეკონომიკური ცხოვრება? როგორც გაირკვა, ამ გზით ხელისუფლება მეტ დამოუკიდებლობას და მოქმედების თავისუფლებას ანიჭებს ფირმებსა და კორპორაციებს, მათ განმგებლობაში ტოვებს მეტ ფინანსურ რესურსებს და აძლიერებს ინიციატივას, ამავე დროს თვითონ თავისუფლდება. ხარჯების მნიშვნელოვანი ოდენობისაგან, სამეურნეო რგოლები დატოვა საკუთარი თავის განმგებლად და თვითონ მხოლოდ „წესების დარღვევის“ დროს ერევა „თამაშში“ საფინანსო-საკრედიტო ბერკეტების საშუალებით.

ჩვენთან არსებული სისტემის პირობებში ეს საყურადღებოა, რადგანაც გადასახადი არა მარტო შემოსავლის წყაროს უნდა წარმოადგენდეს გადასახადის ამკრეფისათვის, სახელმწიფო ბიუჯეტისათვის, არამედ სტიმულის მიმცემიც უნდა იყოს საწარმოებისა და გაერთიანებებისათვის.

დიდ ინტერესს იწვევს აშშ-ის ადგილობრივი ფინანსების სისტემა. ქვეყანაში არსებობს ფედერალური, შტატების, საგრაფოების და ადგილობრივი ბიუჯეტები. ყველა 50 შტატს ფორმალურად და რეალურად გააჩნია ავტონომიური უფლებები ფინანსების, ეკონომიკური განვითარების და მართვის დარგში. ისინი დამოუკიდებლად საზღვრავენ ხარჯების სიდიდეს და მიზნებს, შემოსავლების ზომასა და წყაროებს, მეთოდებს. ფედერალურ მთავრობას არა აქვს ადმინისტრაციული გზით შტატის ბიუჯეტის კონტროლის უფლება და თავის მხრივ არც შტატი არის ვალდებული ფინანსური ანგარიში ჩააბაროს ფედერალურ ორგანოებს.

მნიშვნელოვანია ამერიკის ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოთა ფინანსების შესწავლა, დადებითი მხარეების გაანალიზება და ამ ცოდნის გამოყენება ეკონომიკური სუვერენიტეტის და ადმინისტრაციული ერთეულების თვითმმართველობის პირობებში. ადგილობრივი ორგანოები ქვეყნის სიმტკიცის, სიძლიერის და დემოკრატიის საფუძველს წარმოადგენენ.

როგორც აგვიხსნეს, ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლის წყაროს წარმოადგენს ადგილობრივი გადასახადები, კომუნალური მეურნეობიდან შემოსავლები, შემოსავალი ადგილობრივი სესხის გამოშვებიდან, სხვა არასაგადასახადო შემოსავლები და ამათთან ერთად დოტაციები ფედერალური და შტატის ბიუჯეტიდან. ადგილობრივი ტერიტორიალური ქვედანაყოფები ეს თვითმმართველი უჯრედებია, ფედერალურ თუ შტატის ბიუჯეტს კი შეუძლია მხოლოდ დახმარება გაუწიოს მას დოტაციის სახის (მთავრობა იმის მთავრობაა და იმიტომაა არჩეული, რომ დახმარება გაუწიოს გაჭირვებულს და არა მოვალეობები დააკისროს და თვითონაც ტვირთად დააწვეს).

ჩვენთან მიმდინარე ფულად-საკრედიტო მექანიზმის რეფორმის პირობებში აუცილებელია რამდენიმე სიტყვა ითქვას აშშ-ის საბანკო სისტემაზეც. აშშ-ში არსებობს დაახლოებით 14 ათასი კომერციული ბანკი, მათგან მხოლოდ 0,2 პროცენტი (ანუ 20) არის ტრანსნაციონალური, დანარჩენი კი არის ადგილობრივი მასშტაბის დაწესებულებები, რომელთა საქმიანობა შემოიფარგლება ქალაქის, საგრაფოს, შტატის ჩარჩოებით. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მცირე ბანკები რაიმე შეზღუდვას განიცდიან, მათ აქვთ იგივე უფლებები (საგარეო-ეკონომიკური ოპერაციების განხორციელების და სხვ.), რაც უმსხვილეს ბანკებს და, ძირითადად, სწორად ისინი ახორციელებენ მოსახლეობის მომსახურებას. უნდა აღინიშნოს, რომ ბანკების უმეტესობა აქციონერული დაწესებულებებია, დიდია მათი ინტერნაციონალიზაციის ტენდენცია, ისინი თავისუფალი არიან ყოველგვარი მეურვეობისაგან და ემორჩილებიან მხოლოდ ეკონომიკის მიერ დადგენილ კანონებს.

თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პირობებში სწორედ ბანკის პროცენტის განაკვეთის შემცირება-გადიდებით ხორციელდება კრედიტზე მოთხოვნის რეგულირება და შესაბამისად ეკონომიკის მართვა.

შეუძლებელია ლაპარაკობდე აშშ-ის ეკონომიკასა და ფინანსურ ურთიერთობებზე და არ ახსენო უოლ-სტრიტი და საფონდო ბირჟა, ეს მუდამ მოფუსფუსე და მღელვარე, გარკვეულად გასაიდუმლოებული (სურათების გადაღება შენობის შიგნით აკრძალულია) ფინანსური ცენტრი ამერიკის და მთელი მსოფლიოს (ჩვენ შეიძლება ვთქვათ, ვისაც უნდა იმისი იყოს, ჩვენი კი არ არისო, მაგრამ ვიყოთ ობიექტურნი, მისი ფუნქციონირება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ჩვენს ფინანსურ მდგომარეობაზე), სადაც სხვადასხვა ქვეყნის ვალუტის გვერდზე არა და ვერ იკავებს ადგილს საბჭოთა მანეთი, თავისი არაკონვერტულობის გამო. მოდით ერთხელ მაინც დავივიწყოთ ჩვენი უადგილო სიამაყე და კუდაბზიკობა და მოვახდინოთ მანეთის შემდგომი დევალვაცია (1 დოლარი 12-14 მანეთი), პირველ ეტაპზე შევქმნათ ფასიანი ქაღალდების და ვალუტის ბაზარი, ნუ ვიქნებით კომედიანტები და ნუ ვუარყოფთ მას რაც ეკონომიკის ობიექტურ კანონს წარმოადგენს, მიუხედავად იმისა მოგვწონს და ვაღიარებთ თუ არა ჩვენ.

გასაკეთებელი ძალზე ბევრია, პრობლემები ერთმანეთშია გადაზრდილი, დღევანდელ პირობებში იქნებ მოგვეხდინა არაოფიციალური, ჩრდილოვანი, როგორც მას უწოდებენ, ეკონომიკის ზოგიერთი სფეროს ლეგალიზება, რადგანაც ჩრდილოვანი იგი სწორედ ყაზარმული სოციალიზმის პირობებშია, თორემ არავითარ მავნებლობას იგი არ ქმნის.

დღეს უკვე აშკარაა თუ რა სიძნელეების წინაშე ვდგევართ, რა მასშტაბის სამუშაოები გვაქვს ჩასატარებელი და ღმერთმა იცის, როდის და რანაირ შედეგს მივაღწევთ, ამიტომაც საჭიროა დავივიწყოთ ეკონომიკის ესა თუ ის ატრიბუტი და რგოლი რომელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემის სახელს ატარებს (ანდა საერთოდ, რა პრინციპის მიხედვით გაიმიჯნა — რა არის სოციალისტური და რა — კაპიტალისტური),, ყურად ვიღოთ ეკონომიკის რეალური, ობიექტური მოთხოვნები, გამოვიყენოთ ინდუსტრიულად განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკის მართვის გამოცდილება, თუ არ გვინდა ჩვენი ქვეყანა კვლავ ხელგაწვდილი თხოულობდეს საპონს, კბილის პასტას და პირველადი მოხმარების სხვა საგნებს.

ლევან ქისტაური,

უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი, საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის „ფულის, ფინანსების, კრედიტის“ სექციის ხელმძღვანელი.

გთხოვთ ჰონორარი გადარიცხოთ სტიქიით დაზარალებულ აჭარელთა ფონდში.

ოფიციალური პასუხი

ჩვენი გაზეთის 1989 წლის 9 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნდა ილამაზ მიწიშვილის წერილი, რომელშიც ავტორს აინტერესებდა, თუ როგორია ჩვენი რესპუბლიკის წვლილი საკავშირო ლატარიების შემოსავლის საერთო თანხაში, რა უბრუნდება აქედან საქართველოს და რომელი სპორტული ნაგებობების აშენებას მოხმარდება მომავალში ეს თანხა.

ამ წერილთან დაკავშირებით რედაქციამ მიიღო საქართველოს სპორტსახკომიდან ოფიციალური პასუხი სპორტსახკომის თავმჯდომარის მოადგილის **ვალერი ლომაძის** ხელმოწერით.

რესპუბლიკის სპორტსახკომმა დაუკავშირდა სპორტლოტოს რესპუბლიკურ სამმართველოს, საიდანაც გვაცნობეს: 1988 წლის შედეგების მიხედვით ჩვენი რესპუბლიკის წვლილი საკავშირო რეალიზაციაში შეადგენს 2,46 პროცენტს, ხოლო 1989 წელს — 2,55 პროცენტს.

სპორტლოტოს შემოსავლების 25,1 პროცენტი მიდის სახელმწიფო ბიუჯეტში, 46,8 — სპორტლოტოს საკავშირო გაერთიანებაში, 20 — ერიცხება საქართველოს სპორტსახკომს, 5 — ადგილობრივ ბიუჯეტს; რესპუბლიკურ საწარმოს, რომელიც 1989 წლიდან თვითდაფინანსებაზე გადავიდა — 3,1 პროცენტი. ამ მონაცემებიდან ნათლად ჩანს, რომ მიღებული მოგების მნიშვნელოვანი ნაწილი ერიცხება საკავშირო გაერთიანებას.

დღემდე სპორტული ლატარიებიდან შემოსავალი თანხებიდან სპორტული ბაზების მშენებლობასა და რეკონსტრუქციაზე დაიხარჯა 4,2 მილიონი მანეთი, კაპიტალურ შეკეთებაზე — 4,8 მილიონი, სპორტულ მოწყობილობასა და ინვენტარზე — 1,6, სპორტლონისძიებების ჩატარებაზე კი — 0,1 მილიონი.

ასევე სპორტლოტოს შემოსავლებიდან დაფინანსდა დახურული მძლეოსნური მანეჟის მშენებლობა, დაიგო სინთეტიკური საფარი ძალოსანთა დარბაზში და მძლეოსნურ სექტორებზე, აშენდა კალათბურთის დარბაზი დამხმარე სათავსოებით დაბა ლესელიძეში, საბაგირო გზები, სწრაფდაშვების

(დასასრული მე-6 გვ.).

ახლა თქმა სჯობს უთქმელობას

ღია წერილი კობა არაბულს

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ახალგაზრდა კომუნისტის" 26 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნებულმა თქვენმა პუბლიკაციამ „თუ ყურს დაუგდებენ" კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ ბევრში კვლავ მძლავრობს ძველი იმპულსები. წერილი რომ წინასწარ გამიზნული სურვილითაა დაწერილი, ამის თქმის ნებას თავად თქვენი მასალა მაძლევს. ამიტომ არ შემიძლია ახლა დუმილი და იძულებული ვარ ისევ იმ გაზეთის საშუალებით გაგცეთ პასუხი, რომლის ფურცლებიდან ასე უსამართლოდ დამესხით თავს. თქვენსავით ზერელე რომ არ გამომსვლოდა ჩემი პასუხი, კიდევ ერთხელ გადავამოწმე ის ბრალდებები, რასაც თქვენ ჩემს შესახებ აუწყებთ მკითხველს.

დიახ, ახლა თქმა სჯობს უთქმელობას, მაგრამ ეს ნათქვამი არ უნდა იყოს საფუძველს მოკლებული, მით უფრო დღეს, როცა ასე დაგვგროვებია ეროვნული ტკივილი. ახლა ამბიციური კინკლაობა ვერაფერი მამულიშვილობაა და ამისთვის არც თქვენ უნდა გეცალოთ და არც მე. კი არის დრო, ერთის საამებლად არ ვავნოთ მეორეს.

ბატონო კობა! თქვენ ისედაც დიდ საქმეს შესჭიდებიხართ, მაგრამ ჯერ ტაძრამდე მაინც დიდი მანძილი გაქვთ გასავლელი და თუ ამ გზაზე მწყერზე ზარბაზნით ნადირობით გაერთვეთ, ვეჭვობ, ვეფხვთან მეომარი მოყმის სახელი მოიპოვოთ. გაფრთხილებთ, ვაი თუ ზარბაზნის გასროლის შემდეგ სანიშნეზე მწყერი არ აღმოჩნდეს.

თქვენ, ბატონო კობა, ყოველგვარი კონკრეტული ფაქტის გარეშე მედავებით, მლანძღავთ, საგანგაშო ზარებს ახმიანებთ და როცა ხელში არაფერი გრჩებათ, თავს წერილის ბოლო აბზაცით იზღვევთ.

ზოგადი ლაპარაკის დრო არ არის-მეთქი და მეც ასე რომ არ გამომივიდეს პირდაპირ მივყვები თქვენს ტექსტს და ყოველ ბრალდებას გავცემ პასუხს.

რაც მართალია, მართალია, ამაში ვერ შეგედავებით, რომ რამდენიმე დღეა ნორიოს მეფრინველეობის ფაბრიკის ადმინისტრაციული შენობის წინ მჯდომარე გაფიცვა მიმდინარეობს. როგორც წერილიდან ირკვევა, პირადად თქვენ გისაუბრიათ გაფიცულებთან. თქვენთვის შემოუჩივლიათ რომ „არავინ არ გვაქცევს ყურადღებას, თითქოს არაფერი არ ხდებაო" და ა. შ.

შემდგომ თქვენ სწერთ: „ეგენი ყველანი ერთმანეთის ნათესავები არიან და იმიტომ არიან ჩემს წინააღმდეგ ასე ერთიანადო — ეს უკვე დირექტორის, ქალბატონ მერი მდივნის სიტყვებია".

მე ის კი ვიცი, გაფიცულებს რომ ელაპარაკეთ, მაგრამ ისიც ხომ ვიცი, რომ ჩემთან თქვენ არანაირი საუბარი არ ისურვეთ და საინტერესოა, რაში დაგჭირდათ ასეთი სიცრუე.

შემდეგ თქვენ სწერთ, რომ გაფიცულები სხვადასხვა კუთხეებიდან ჩამოსულები ყოფილან.

ვერ შემედავებით, გაფიცულთა ვინაობა მე უკეთ ვიცი, ამდენად, ნება მომეცით, მკითხველსაც გავაცნო ისინი:

1. ფაბრიკის მუშა ვალიევა, რომელმაც ქმარი და ვაჟიშვილი, მეტიც, ქარელში გათხოვილი ქალიშვილიც მოისვა გვერდით, სანამ გაიფიცებოდა, ვალიევამ თვითნებურად გატეხა სამომსახურეო ბინა სიძე-ქალიშვილისათვის, (თავად სამოთახიან ბინაში ცხოვრობს).
2. გოგრიჭიანი მზია — ამჟამად პენსიონერია, მასაც მეუღლე უდგას გვერდით, რომელმაც სხვისი ბინა გატეხა და შევიდა იმ მოტივით, რომ ხუთსულიანი ოჯახი ოროთახიან ბინაში ცხოვრობდა, მაგრამ მისი ორი შვილი რუსეთში სწავლობს. გოგრიჭიანი გამოსახლებულ იქნა უკანონოდ დაკავებული ბინიდან.
3. ლობჟანიძე ნათელა — მუშა — ცხოვრობს სამსართულიან კერძო ბინაში. მის ქალიშვილს სამოთახიანი ბინა მივეცით, მის ძმას ასევე სამოთახიანი, გარდა ამისა, ერთი სამოთახიანი ბინა მის დისშვილს ერგო, ერთი ერთოთახიანი — მეორე დას, ამ ოჯახიდან გაფიცულია თავად ნათელა, მისი ორი ქალიშვილი და სიძე. აქვე მინდა დავუმატო, რომ ნათელა ლობჟანიძის ქმარი ქალაქში მუშაობს ტაქსისტად. მათი პრეტენზია ის არის, რომ მის ქალიშვილს სამუშაო არ მივეცი. ფაქტიურად იგი ჩემი მუშა იყო, ხოლო მაისიდან ფაბრიკასთან არსებულ კოოპერატივში მუშაობს.
4. სედა გობეჯიშვილი, რომელსაც ჩვენს ფაბრიკაში მრავალი სიკეთე რგებია. პირველი მსუბუქი ავტომანქანა მას მივეცით (სხვათა შორის, მალე გაყიდა), აგრეთვე მაცივარი, ხალიჩა, ფულადი პრემიები, ორდენები... რაჭიდან ჩამოყვანილ მის ერთ დისშვილს ბინა მივეცით, მეორე დისშვილი ცხოვრობს ფაბრიკაში ჩაუწერლად და მუშაობს ქალაქში (როგორ მიიღეს ჩაუწერელი, ეს ჩემთვის გაურკვეველია).
5. სონია ზედგენიძე — ცხოვრობს საკუთარ ბინაში, მიწების ინვენტარიზაციის დროს გამოირკვა რომ გარდა კანონით გამოყოფილი 1500 კვ.მ-სა თითქმის მიწის იმდენივე ფართობი მიტაცებული ჰქონია. ალბათ, ეს გახდა მიზეზი პრეტენზიისა, ბოლო დღეებში რომ შემოუერთდა გაფიცულებს. სხვათა შორის, ის და მისი მეუღლე, რაც მე აქა ვარ, ფაბრიკაში არ მუშაობენ.
6. ჭინჭარაული მაია — პენსიონერი. მისი პრეტენზიაა ის, რომ შვილი ტრისტან ჭინჭარაული ფიზკულტურის მეთოდისტად მუშაობდა და სამსახურში არ დადიოდა, ამ წლის დასაწყისში გავათავისუფლეთ სამუშაოდან. ცხოვრობს ფაბრიკის სამოთახიან კეთილმოწყობილ საუწყებო ბინაში.
7. ჭინჭარაული ცირა — პენსიონერი, თქვენც კარგად იცნობთ თურმე, ბატონო კობა. ალბათ, ისიც გეცოდინებათ დედამთილ-მამამთილი რომ გამოაძევა ბინიდან და ჩვენ შევიფარეთ ჯერ ფინურ სახლში, ხოლო ახლახანს ერთოთახიანი კაპიტალური ბინა მივეცით. თავად ცირა ფაბრიკის სამოთახიან საუწყებო ბინაში ცხოვრობს და იცით მისი გაფიცვის მიზეზი? რატომ დავეხმარეთ მის მეუღლეს, რომელსაც ავარია მოუხდა და ციხე მიუსაჯეს. სწორედ მე ვუშუამდგომლე სათანადო ორგანოების წინაშე, რომ ქუთაისის ნაცვლად, ადგილზე მოეხადა სასჯელი. ამჟამად, მუშაობს ჩვენთან, ქურდობაზე დაიჭირეს, როცა ქათამს და კვერცხს იპარავდა.
8. გიორგაშვილი გრიშა, რომელსაც საკარმიდამო მიწის ნაკვეთი მივეცით, საკვების ქურდობაზე დაიჭირა ბრიგადირმა. როგორ გამიბედეს, სულ მიატოვა ფაბრიკა. მეუღლე კოოპერატივშია.
9. ხურციძე ცხოვრობს ფაბრიკის სამოთახიან საუწყებო ბინაში. მისი ქალიშვილი წითელწყაროშია გათხოვილი, მეორე ქალიშვილი თბილისის პროფსასწავლებელში სწავლობს. ვაჟი ქალაქში მძღოლად მუშაობს. პრეტენზია აქვთ, თუმცა ხმამაღლა არ გაუმჟღავნებიათ — რატომ არ მივეცით ყალბი ცნობა ქალიშვილს, რომ პროფსასწავლებლის დამთავრების შემდეგ სამუშაოდ მივიღებდი (ამ ცნობას მე ვერ გავცემდი, რადგან შესაფერი ადგილი ფაბრიკას არ გააჩნია). ვაჟი, ხვიჩა მუშაობდა ოპერატორად, მერე მძღოლად გადავიყვანეთ. არ დადიოდა, როცა დაჭირდა, დადებითი დახასიათება ვერ მივეცი.

ბარემ აქვე დავასახელებ გაფიცულების ხელმძღვანელებს — ლევან მეტრეველს, ზურაბ გავაშელს, სვეტა სედოვას.

ვინ არიან ესენი? ლევან მეტრეველი მე მივიღე სამუშაოდ ფაბრიკაში რაჭიდან ჩამოსული, რომელმაც შეურაცხყო ფაბრიკის დირექტორის მოადგილე, რის გამოც გაასამართლეს და სასჯელის მოხდის შემდეგ რუსეთს მიაშურა. უკან მობრუნებული შევიბრალე და მიწის ნაკვეთიც დავუმტკიცე, სადაც ორსართულიანი სახლი ააშენა, თუმცა მშენებლობა ჯერ ისევ დაუმთავრებელია. ამჟამად მუშაობს რძის კომბინატში მტვირთავად.

ზურაბ გავაშელი მუშაობს თბილისის ლილოს ხილბოსტნეულის ბაზაში მძღოლად. ფაბრიკიდან რვა წელია, რაც წასულია, ცხოვრებით კი ისევ ჩვენს საუწყებო ბინაში ცხოვრობს, რომელიც თვითნებურად დაიკავა 1984 წლის ბოლოს. მის ერთ ძმას ოროთახიანი ბინა მივეცით, მზია გავაშელიც მისი დაა, რომელიც ამჟამად გაფიცულთა რიგებშია. მათი ადიგენიდან ჩამოყვანილი მშობლები ჩაუწერლად ცხოვრობენ ფაბრიკის ტერიტორიაზე.

სვეტა სედოვა პროფესიით ჟურნალისტია, ცხოვრობს ფაბრიკის სამოთახიან საუწყებო ბინაში, სამი სული, რომელიც თვითნებურად დაიკავა. მისი დედა სამჯერ ნასამართლევი, ფაბრიკაში მუშაობდა საწვავ-საცხების საწყობის გამგედ. დამსახურებულად გავანთავისუფლეთ 1986 წლიდან. სწორედ ამ სვეტამ, რომელიც ადრე მდივან-მემანქანედ მუშაობდა ჩემთან, გაფიცულთა უმრავლესობასთან ერთად, საჩივრებით აავსო საკავშირო მთავრობა. შინაგან საქმეთა სამინისტროში, ალბათ, ახლაც ინახება ამ საჩივრებით აკინძული ტომები.

ბატონო კობა! თქვენ ისედაც კარგად იცნობთ ალბათ გაფიცულთა თაოსნებს, აკი, 22 დეკემბერს თქვენთან ბინაზეც ყოფილან მეტრეველი და გავაშელის მამა.

ახლა ისევ თქვენს წერილს მივუგდოთ ყური: თქვენ ამბობთ, რომ „ფაბრიკაში სრული განუკითხაობაა, ხალხის დაუკითხავად და მხოლოდ ხელმძღვანელის ნებასურვილით ხდება ყველაფერი — ბინების თუ ავტომანქანების განაწილება, სამოსახლო ნაკვეთების გაცემა-განაწილება, ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა დასახლებაში ჩაწერა-ამოწერა".

ამ ბრალდებაზე გპასუხობთ, რომ ბინების განაწილება ფაბრიკაში საჯაროდ ხდებოდა ყოველთვის. ასე იყო ამ ბოლო დროსაც. ბინების გამნაწილებელმა კომისიამ ფაბრიკის შესასვლელში გამოაკრა სია და თუ ვინმეს რაიმე სერიოზული პრეტენზია ექნებოდა, შეეძლო დროზე მოეწვდინა ხმა. მერე თანახმად ბინის განაწილების კანონმდებლობისა, ყველა მასალა გადაიგზავნა რაიონულ აღმასკომში, სადაც დაზუსტდა და დამტკიცდა საბოლოოდ.

ასევე, მთავრობის დადგენილების შესაბამისად, სოფლად სამომსახურეო ბინები ეძლევათ მუშებისა და სპეციალისტების გარკვეულ კატეგორიას და ესეც აღმასკომში მტკიცდება. გაფიცულთაგან რომლებმაც კერძო ბინები აიშენეს, მიწის ნამეტი ფართობიც აქვთ მიტაცებული. ჩემს ხელში გაცემულ სამოსახლო მიწის ნაკვეთებზე სათანადო მიმართვა ეგზავნება სასოფლო საბჭოს, მერე აღმასკომს და ისინი რთავენ ნებას სახლის აშენებაზე. ყველა ამ საკითხს ერთად წყვეტს ფაბრიკის ადმინისტრაცია, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციები, მოწინავე მუშა-მოსამსახურეებთან ერთად.

მანქანების განაწილებაზე ზემოთაც მოგახსენეთ, პირველი მანქანა იმ გაფიცულს ებოძა, ახლა რომ ჩემს წინააღმდეგ მოწყობილ აქციაში მონაწილეობს, სხვა ორი მანქანაც გაფიცულთა მომხრეებს ერგოთ, დანარჩენი რაც განაწილდა, ფაბრიკის ღვაწლმოსილ მუშა-მოსამსახურეებმა დაიმსახურეს.

ფაბრიკაში მუშის მიღება, რა თქმა უნდა, ხელმძღვანელის საქმეა, ამოწერით კი ჯერ არავინ ამომიწერია, თუმცა ეს ჩაწერა-ამოწერაც ისევ აღმასკომის მიერ მტკიცდება.

შემდეგ ისევ ახალი ბრალდებაა, თითქოს „სრულიად უსაფუძვლოდ საკვების თუ ხორცსაზიდ მანქანებზე მოყვანილ მძღოლებს ეძლევათ უპირატესობა, მაშინ, როცა ადგილობრივი პროფესიონალი მძღოლები დაუსაქმებლები არიან".

ამ ბრალდებასაც ყოველი გადამოწმების გარეშე შემიძლია გავცე პასუხი. ნორიოს მეფრინველეობის ფაბრიკა სოფლების — მარტყოფისა და ნორიოს ტერიტორიაზეა. ამაზე ახლოდან საიდან მომეყვანა ისინი, ნამდვილად არ ვიცი. 37 მძღოლიდან 11 მარტყოფელია, 2 — ლილოელი, დანარჩენი კი ფაბრიკის ტერიტორიაზე მცხოვრებნი. ზოგიერთი მარტყოფელი მძღოლი ამ ფაბრიკაში მანამდე მუშაობდა, ვიდრე ხევსურეთიდან და რაჭიდან ჩამოსახლდებოდნენ.

რა ვქნა, ბატონო კობა! იქნებ გამიგრძელდა პასუხი, მაგრამ მეც თქვენსავით ზერელე რომ არ გამომივიდეს ნაწერი, ზუსტად მივყვები თქვენს ტექსტს. თქვენ სწერთ, რომ „— ბევრი მასალა და თანხა იხარჯება სრულიად უსარგებლო მშენებლობებზე".

არ ვიცი რა გაქვთ კონკრეტულად მხედველობაში. მშენებლობას კი არა, უსარგებლოდ პატარა ხეს ვერ ჩავრგავთ თუ ზემდგომი ორგანოების დასტური არ გვექნება და ბარემ აქვე დავძენ, ეკოლოგიური ცოდვებით რომ მტვირთავთ „ძალზედ დანაგვიანებულია ლოჭინის ხევი, თვით ფაბრიკის ტერიტორიაზეც ანტისანიტარიაა გამეფებული", ალბათ იმედი გქონდათ, ამ ბრალდებას მაინც ვერ გაუძლებსო.

მიმდინარეობს რა ფაბრიკის რეკონსტრუქცია-გაფართოების სამუშაოები, ბუნებრივია, ეს უარყოფითად მოქმედებს არსებულ საინჟინრო კომუნიკაციებზე, ამიტომ ხანდახან ადგილი აქვს ავარიულ შემთხვევებს. ამ დღეებში მთლიანად დამთავრდება საკანალიზაციო ქსელის დარჩენილი სამუშაოები და ეს მდგომარეობაც, რასაკვირველია, გაუმჯობესდება.

წერილში მოყვანილია ასეთი აბზაცი: „გაზეთებში არასწორი ინფორმაცია ქვეყნდება ფაბრიკის შესახებ, თითქოს ცხელი წყალი მოდიოდეს, თითქოს ჩვენთან ტელეფონი 200 ბინაში წკრიალებდეს"... ეს აზრი ჟურნალ „საქართველოს ქალის" 1988 წლის მე-11 ნომერში სათაურით „დედაბოძი ერისა" გარკვევით სწერია: „ამ დღეებში ამუშავდა 200-ნომრიანი სატელეფონო სადგური". იგულისხმება შიდა საფაბრიკო 200-ნომრიანი სატელეფონო სადგური, რაც შეეხება საქალაქო 200-ნომრიან სატელეფონო სადგურს, მისი პროექტი მზადაა და ვფიქრობთ, კავშირგაბმულობის სამინისტრო მის გაკეთებაზე უარს არ იტყვის.

რაც შეეხება ცხელი წყლის საკითხს: ფაბრიკაში დღემდე არსებობდა ერთი საქვაბე მეურნეობა, რომელიც ათბობს ცხელი წყლით დასახლების საცხოვრებელ ბინებსა და სოციალური დანიშნულების ობიექტებს, ხოლო მეორე საქვაბე, რომელიც 1989 წელს შევიდა ექსპლოატაციაში, ათბობს ფაბრიკის საწარმოო ზონას.

„დირექტორის კაბინეტი აუღებელი ციხე-სიმაგრეაო" — ბრძანებთ თქვენ და მეც გიპასუხებთ, რომ ის „აუღებელი ციხე-სიმაგრე" არავის ახსოვს დღემდე დაკეტილი და ამასაც დავძენ, რომ ჩემს კაბინეტს დღემდე საკეტიც არ აქვს დადებული.

იქნებ იფიქრეთ, კარგად არსად არაფერია და ფაბრიკაში ყველაფერი მოწესრიგებული როგორ იქნებაო. ეს ჭკუასთან მართლაც ახლოა. ამდენი მცდელობის შემდეგაც გული საგულეს მაინც ვერ დაიგულეთ და მსხვერპლად საბოლოოდ შესაბამის პარტიულ, საბჭოთა თუ ადმინისტრაციულ ორგანოებს გადაულოცეთ. ეს ძალზე ძველისძველი მეთოდია და კაცს ძალაუნებურად შიშით უკან ახედებს, ავბედით დროს აგონებს, რომელმაც არაერთი უდანაშაულო ადამიანი შეიწირა. მე პირადად ღრმად მწამს, რომ ასეთი დრო აღარასოდეს დაბრუნდება. ღმერთმაც ნუ დააბრუნოს, თორემ საფრთხის წინაშე მარტო სამეურნეო მუშაკები არ დარჩებიან, ბატონო კობა! თქვენც კარგად მოგეხსენებათ თუ რამდენი ნამდვილი შემოქმედი შეიწირა მაბეზღარობამ და ხელშეუხებლობის გარანტიას ისე არც თქვენ მოგცემთ.

რატომ არ შეამოწმეთ გაფიცულთა მიერ ნათქვამი, რატომ არ დამიპირისპირეთ ისინი თუ ხელს არ გაძლევდათ სიმართლის დადგენა? რატომ იზღვევთ თავს „ჩვენ არაფერს არ ვამტკიცებთ, არც არაფერი გადაგვიმოწმებიაო". ასე ხომ შეიძლება მკვლელობა დავაბრალოთ ერთმანეთს, თუმცა სიტყვითაც შეიძლება მოვკლათ ერთმანეთი, სული დავუჩხოთ. ფიზიკურ ტკივილზე მეტია მსგავსი დაუმსახურებელი სიკვდილი, თუმცა მე არანაირ სიკვდილს არ ვაპირებ, არადა ერთობის ისეთი დროა, საქმით უნდა დავუმტკიცოთ ერთმანეთს ერისკაცობაც და ერისქალობაც.

ჩემი სათქმელი იმით მინდა დავამთავრო, რაკი ჩემი განქიქების სურვილმა დაგრიათ ხელი, თქვენვე შეამოწმეთ წერილში მოყვანილი ფაქტები და თუ მაინც ძველ პოზიციაზე დარჩებით, თქვენი ხმალი და ჩემი კისერი. სადაც კალამმა გიმტყუნოთ, ხმლის იმედი იქონიეთ. თუმცა გარდაქმნისა და საჯაროობის ეპოქაა ამის წინააღმდეგი.

უმჯობესია, ყოველივე ჰუმანური პოზიციიდან გააანალიზოთ, კარგად აწონ-დაწონოთ. ნურც რედაქციას შეიყვანთ შეცდომაში და ნურც სახალხო ფრონტის თანამოაზრის ავტორიტეტს შეარყევთ. შეცდომისგან არავინაა დაზღვეული, მაგრამ ისეთი შეცდომის დაშვების უფლება თავს არ უნდა მისცეთ, რომელიც შელახავს მწერალთა კავშირის წევრის ღირსებასაც. მე პირადად არაფერი ვიცი იმის შესახებ, ვისი სახელით მობრძანდით ფაბრიკაში და რა მიზანი გაფორიაქებთ.

ამ წერილის შესახებ კიდევ ბევრის თქმა შეიძლება, მაგრამ წერტილი მაინც უნდა დავსვათ. ისედაც ბევრი საქმეა გასაკეთებელი და მხოლოდ ამაში გავეჯიბროთ ერთმანეთს.

მერი მდივანი

რედაქციისაგან: წერილი დასაბეჭდად გვქონდა მზად, როდესაც ვნახეთ, რომ ის უკვე გამოუქვეყნებია გარდაბნის რაიონულ გაზეთ „სამგორს" (№ 5). ეს ჩვენთვის მოულოდნელობა იყო, ვინაიდან ქალბატონ მერი მდივნისთვის უარი არ გვითქვამს წერილის დაბეჭდვაზე, მხოლოდ ეგ იყო, საგაზეთო ფართის უქმარისობის გამო, ის რამდენიმე დღით დაყოვნდა. ჩვენთვის გაუგებარია ქალბატონ მერი მდივნის ხელსწრაფობა და უნდობლობა რედაქციის მიმართ. მიუხედავად ამისა, როგორც ხედავთ, წერილი დავბეჭდეთ (უფრო ზუსტად გადმოვბეჭდეთ. ცხადია, გადმობეჭდილ მასალაზე ჰონორარიც არ გაიცემა).

პოლემიკა

საჭიროა თანადგომა

უკანასკნელ ხანს ჩვენს პრესაში მრავალი წერილი გამოქვეყნდა საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის შესახებ. მუზეუმისადმი საზოგადოების ამგვარი ინტერესის საბაბი გახდა ჩვენი საგანძურის ექსპონატების აშშ-ის ქალაქ სან-დიეგოში დაგეგმილი გამოფენა. იყვნენ ამ გამოფენის მოწინააღმდეგეებიც და მომხრეებიც. გამოფენა არ გაგზავნილა და ალბათ, მომავალი განსჯის, თუ რა დააკლდა ამით ქართულ კულტურას, რა მოგვიტანდა მეტ ზიანს — რამდენიმე ექსპონატის ამერიკაში გამოფენა, თუ თანამედროვე სამუზეუმო კლიმატური აპარატურის დაკარგვა, რომელიც გამოფენის ორგანიზატორებს საჩუქრად უნდა გადმოეცათ ჩვენი მუზეუმისათვის.

გამოფენის მოწინააღმდეგეთა შორის იყო მუზეუმის თანამშრომელთა ერთი ჯგუფი (მთავარი მცველი, საგანძურის განყოფილების გამგე, ამავე განყოფილების თანამშრომლები), რომლებმაც გასული წლის 12 დეკემბერს გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტში“ გამოაქვეყნეს ვრცელი სტატია სათაურით — „ერისა და ქვეყნის წინაშე ვალდებულებით“. მასში ისინი ცდილობენ კიდევ ერთხელ წარმოაჩინონ თავიანთი პოზიცია და დაიცვან განძი მომავალში „იძულებითი ტარებიდან“.

წერილი, ისევე როგორც მათივე ინსპირირებული სხვა წერილები, გამოქვეყნდა მუზეუმის კოლექტივისაგან და სამეცნიერო საბჭოსაგან მალულად, თუმცა მათ მასზე ხელის მოწერისას არ დავიწყნიათ, რომ ისინი საბჭოს წევრები არიან.

წერილი რომ მართლაც მხოლოდ ზემოთ აღნიშნული მიზნით იყოს დაწერილი, ზედმეტი იქნებოდა მასზე პასუხის გაცემა, რადგანაც მისმა ავტორებმაც კარგად იციან, რომ მუზეუმს სამომავლოდ საგანძურის ექსპონატების სადმე გატანა არა აქვს განზრახული.

მაგრამ სამწუხაროდ ეს წერილი სცილდება აღნიშნულ საკითხებზე მსჯელობას. სტატიის ავტორები მარჯვედ იყენებენ ჩვენში არსებულ ვითარებას და, პოპულარობის მოპოვების მიზნით, სრულიად უსამართლოდ ესხმიან თავს მუზეუმს, ისინი საზოგადოების საქმეს ისე წარმოუდგენენ, რომ თითქოს მათ გარდა მუზეუმის დანარჩენი თანამშრომლები, დირექტორის ხელმძღვანელობით, წარმოადგენენ ისეთ პირებს, რომელთაც არავითარი ვალდებულება ერისა და ქვეყნის წინაშე არ აწუხებთ...

მუზეუმის კოლექტივისათვის კარგა ხანია ცნობილია, რომ წერილის ავტორთა უმთავრეს მიზანს წარმოადგენს დირექტორის წინააღმდეგ ბრძოლა, რისთვისაც ისინი არავითარ საშუალებას არ თაკილობენ. აქვე გვინდა საზოგადოებას ვაუწყოთ, რომ მათ აზრს დირექტორის შესახებ არ იზიარებს მუზეუმის სამასკაციანი კოლექტივის დიდი უმეტესობა. ამის საფუძველს გვაძლევს ის მრავალი, უაღრესად სასარგებლო საქმე, რომელიც ამ უკანასკნელ წლებში თ. სანიკიძის ხელმძღვანელობით გაკეთდა მუზეუმში. მან თავისი აქტიური საქმიანობით თვალსაჩინო კვალი დაატყო მუზეუმს: მოწესრიგდა საგანძურის ექსპოზიცია და ფონდები, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ფიროსმანისა და სხვა გამოჩენილ ქართველ მხატვართა ნამუშევრების მოვლა-პატრონობას, ჩამოყალიბდა რესტავრატორთა მძლავრი ჯგუფი, რომელიც დღეს მთელს რესპუბლიკას ემსახურება, „გაცოცხლდა“ რამდენიმე უსამართლოდ მივიწყებული მხატვარი, შეიქმნა ხელოვნების ნაწარმოებთა ტექნოლოგიური კვლევის განყოფილება, მუზეუმს მიენიჭა სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების სტატუსი, მუზეუმმა მოიპოვა ფართო საერთაშორისო აღიარება, შენდება ახალი სამუზეუმო კორპუსი, გადაწყდა სხვა მრავალი დიდი თუ წვრილმანი საკითხი. დღეს მუზეუმი თავისი ისტორიის ახალი, უმნიშვნელოვანესი ეტაპის წინაშე დგას. ასრულდა მუზეუმის მუშაკთა მრავალი თაობის ოცნება — კეცხოველის ქუჩას უკვე ამშვენებს მუზეუმის ახალი შენობა.

ახალი კორპუსის მშენებლობა რამდენიმე თვეში დამთავრდება, რაც კოლექტივში ბადებს იმედს, რომ ახლო მომავალში შესაძლებელი გახდება მუზეუმში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრა, იმ ნაკლოვანებათა, რომლებიც ძირითადად საჭირო ფართობის მინიმალური სიმცირითაა განპირობებული და არა თანამშრომელთა უპასუხისმგებლობით. სწორედ ახლაა განსაკუთრებით საჭირო მუზეუმის კოლექტივის ერთიანობა, ზრუნვა მუზეუმის კეთილდღეობისათვის და არა ურთიერთანგარიშსწორება.

საგაზეთო წერილის დაუფარავად გაღიზიანებულმა (რომ არ ვთქვათ გაბოროტებულმა) ტონმა და უსამართლო ბრალდებებმა მუზეუმის თანამშრომელთა დიდი ნაწილის გულისწყრომა გამოიწვია. გაიმართა მუზეუმის სამეცნიერო საბჭოს გაფართოებული სხდომა. მუზეუმის საბჭოს წევრებს იმედი გვქონდა, რომ სხდომაზე გაირკვეოდა სიმართლე და დაისახებოდა რეალური გზები, სინამდვილეში არსებულ (და არა გამოგონილ) ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

სამწუხაროდ, დიალოგი ვერ შედგა! სტატიის არც ერთი ავტორი სხდომაზე არ მოვიდა! სხდომის მონაწილეებმა მაინც იმსჯელეს წერილში გამოთქმულ საკითხებზე და გამოთქვეს თავისი დამოკიდებულება მათ მიმართ. ვიმედოვნებთ, სხდომაზე გამოთქმულ მოსაზრებათა გაცნობა საშუალებას მისცემს საზოგადოებას გაერკვეს მუზეუმში არსებულ მდგომარეობაში.

სხდომაზე გამოსულთა უმრავლესობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ წერილს, არა მხოლოდ მუზეუმის, არამედ პირად შეურაცხყოფად აღიქვამენ.

მიუხედავად იმისა, რომ სხდომაზე მყოფ თანამშრომელთათვის კარგად არის ცნობილი სან-დიეგოს ფესტივალში მუზეუმის მონაწილეობის ისტორია, თ. სანიკიძემ კიდევ ერთხელ ვრცლად მოახსენა ამერიკელებთან მოლაპარაკების და შემდეგ განვითარებულ მოვლენათა მიმდინარეობის შესახებ. მან სავსებით უარყო წერილის ავტორთა განცხადება, რომ „...სან-დიეგოში საგანძურის ექსპონატთა გამოფენა მის მიერ ფარულად დაიგეგმა“.

იგივე დაადასტურა მუზეუმის სწავლულმა მდივანმა მ. ფალავანდიშვილმა. მან აღნიშნა, რომ იგი, როგორც თარჯიმანი, 1988 წ. ნოემბერში ესწრებოდა სან-დიეგოს წარმომადგენლის, გ. აბრამიშვილის და თ. სანიკიძის შეხვედრას საგანძურში, სადაც მოხდა ექსპონატთა სიის დაზუსტება, რომ შეთავაზებული სიიდან გ. აბრამიშვილმა უარი თქვა მხოლოდ ორ ექსპონატზე და, რომ ისინი სხვა ექსპონატებით შეიცვალა.

თ. სანიკიძემ, სავსებით სამართლიანად აღნიშნა, რომ მუზეუმის მიმართ გამოთქმული, ესოდენ სერიოზული ბრალდებების კოლექტივისგან მალულად გამოქვეყნება გაზეთში, მუზეუმის მუშაკთა საერთაშორისო მორალური კოდექსის სრული იგნორირებაა.

სხდომის მონაწილეთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ ისინი არ იზიარებენ წერილის ავტორთა განცხადებას იმის შესახებ, რომ ყოველი მოსაზრება, რომელიც დირექტორის აზრს ეწინააღმდეგება საშინელ წინააღმდეგობას აწყდება და მკაცრი ადმინისტრაციული მეთოდებით იხშობა. ყველა სწორი, სამართლიანი და ჯეროვნად დასმული საკითხი პოულობს რეალიზაციას მუზეუმის საქმიანობაში. ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოისპოს ლაპარაკი რეპრესიების შესახებ, ვინაიდან ასეთი რამ მუზეუმში არც არის და არც ყოფილა.

ი. ძუცოვამ გამოთქვა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება სტატიის ზოგიერთი ავტორის სამუზეუმო საქმიანობის მიმართ. მისი აზრით წერილის ავტორები იწუნებენ ყველაფერს, მაგრამ არ (თუ ვერ) გვთავაზობენ მუზეუმის ახალი სისტემის მოდელს, რაც მუზეუმს საშუალებას მისცემდა უკეთესად ემუშავა, ჩვენ კი მათ გულწრფელობაში ეჭვი აღარ შეგვეპარებოდა.

დიდი შეშფოთება გამოიწვია სტატიის ავტორთა კატეგორიულმა განცხადებამ, რომ „ხელოვნების მუზეუმში დაცული საქართველოს ისტორიული განძი უმძიმეს მდგომარეობაშია“.

ცხადზე უცხადესია, რომ თუ ეს ასეა, პასუხისმგებლობა ეკისრება მუზეუმის ყველა თანამშრომელს, განსაკუთრებით კი იმათ ვისაც საგანძურის მოვლა-პატრონობა ევალება, ანუ... სტატიის ავტორებს!

ლ. დოლაბერიძის აზრით ასეთი განცხადების გაკეთების შემდეგ სტატიის ავტორები ვალდებული არიან:

1. არა ვიზუალური დაკვირვებით და ნაჩქარევი დასკვნებით, არამედ, ღრმა მეცნიერული დასკვნების საფუძველზე დაამტკიცონ ამ განცხადების სრული სიმართლე. ხოლო, თუ ამას ვერ მოახერხებენ, პასუხი აგონ ამ განცხადების გამო.

2. მოახსენონ საზოგადოებას, რა ზომებს ღებულობდნენ წლების მანძილზე, ამ საშინელი ფაქტის თავიდან აცილების მიზნით. ჩვენ არასოდეს გაგვიგია ამ საკითხზე საგანძურის თანამშრომელთა ლაპარაკი, სანამ არ წარმოიშვა საკითხი სან-დიეგოს ფესტივალში ჩვენი მუზეუმის მონაწილეობის შესახებ. „წერილის ავტორთა უმრავლესობა მუზეუმის თანამშრომელთა შეკრებებს ან არ ესწრება, ან მდუმარედ ზის ხოლმე. ამიტომ პირადად ჩემთვის ძნელია, მხოლოდ საგაზეთო წერილში გამოთქმული მოსაზრებების საფუძველზე ვირწმუნო, რომ ისინი მართლა განძის გადარჩენისთვის იღვწიან თუ სხვა ზრახვები ამოძრავებთ“...

ცდილობენ-რა დაამტკიცონ, რომ „ექსპონატების მიმართ კრძალვითი დამოკიდებულება თანდათან გადაფარა მათდამი გამოყენებითი, მართლაც და კომერციულმა მიდგომამ — წერილის ავტორები საზოგადოებას აუწყებენ, რომ მუზეუმში დამკვიდრებულია ექსპონატების „იძულებითი რესტავრირება“ ან „წესრიგში მოყვანა“ ე. წ. „სწრაფი რესტავრაციის“ დამღუპველი მეთოდით.

ეს ბრალდება სრულიად უარყო მუზეუმის სარესტავრაციო განყოფილების გამგემ ჯ. ახობაძემ. ამავე განყოფილების ფერწერის რესტავრაციის სექტორის გამგემ ე. ქარსელმა სხდომაზე განაცხადა: „იძულებითი რესტავრაცია რომელიმე ექსპონატზე სარესტავრაციო განყოფილებაში არ ჩატარებულა. ამასთანავე, არ შემიძლია დავეთანხმო მოსაზრებას, რომ ექსპონატთა „სწრაფი რესტავრაციის“ შედეგად მათი რესტავრაცია უხარისხოდ კეთდება. პირიქით, ხშირად დროული პროფილაქტიკური ჩარევა ახანგრძლივებს სურათის სიცოცხლეს და რომელიც საბჭოს სხდომაზე აგვაცილებს მის იმ მდგომარეობამდე მიყვანას, როდესაც უკვე გარდუვალია სარესტავრაციო ჩარევა“.

წერილის ავტორები საოცარი კატეგორიულობით უდგენენ მუზეუმს საშინელ ბრალდებას — „ზოგიერთი ექსპონატი იხერხება“. გასაგებია რა რეაქციას გამოიწვევდა ამგვარი განცხადება მუზეუმის თანამშრომელთა წრეში. ჩატარდა მუზეუმის განყოფილების ყველა გამგის დამცველის გამოკითხვა, რათა გარკვეულიყო ვინ, როდის და რა გახერხა. მათ მიერ წერილობით მოცემულ ახსნა-განმარტების საფუძველზე დამტკიცდა ის, რასაც მტკიცებაც არ სჭირდებოდა — მუზეუმში გახერხილი ექსპონატი არ აღმოჩნდა!

აქვე დავძენთ, რომ წერილობითი ახსნა-განმარტებისაგან თავი შეიკავა მხოლოდ გ. აბრამიშვილმა.

„ანტიკური ხანის ქალღმერთის ტერაკოტის ფიგურას პლასტელინის ხელები ელესება ზედ“ — აუწყებენ მკითხველს წერილის ავტორები. აი, რა პასუხი გასცა მათ ძველი ქართული ხელოვნების განყოფილების მცველმა ნ. ხუნდაძემ: ტერაკოტის (რომელიც უფლისციხეში აღმოჩენილი იქნა უხელოდ) კვლევის პროცესში გადაწყდა გაკეთებულიყო ხელის რეკონსტრუქცია და ამ სახით ჩატარებულიყო მისი ფოტოფიქსაცია (სავსებით დაშვებული პროცესია, როგორც არქეოლოგიურ, ასევე სამუზეუმო საქმიანობაში). რეკონსტრუქციის გაკეთება დაევალა მუზეუმის თანამშრომელს, მოქანდაკე გ. ნიკოლაძეს. მან რეზინირებული პლასტელინისაგან გამოძერწა ხელი, მიადგა ქანდაკებას, ფოტოფიქსაციის შემდეგ კი მოაცილა იგი. ვფიქრობთ, ეს საკითხიც სამუზეუმო საქმიანობის ვიწრო სფეროს განეკუთვნება და მისი გამოტანა საზოგადოების სამსჯავროზე მხოლოდ საქმეში ნაკლებად ჩახედულ პირთა შეშფოთების და მუზეუმში არსებული „მდგომარეობით“ საზოგადოების გაღიზიანების სურვილით უფროა ნაკარნახევი, ვიდრე ექსპონატზე ზრუნვით.

წერილში არის ამგვარი ბრალდებაც: „მუზეუმის ძველი, დღეისათვის განადგურებული ბაღის ექსპოზიციის ჩუქურთმიანი ქვები და ქანდაკებები მრავალჯერ გადათრევ-გადმოთრევით და ცუდ პირობებში ყოფნისაგან იმლება და ავადდება“...

სამწუხაროდ, ბაღი მართლაც დროებით სამშენებლო მოედნად იქცა, რადგანაც სხვა გამოსავალი არ არსებობდა. მთავრდება მშენებლობა. მალე აღდგება ბაღიც და ექსპოზიციაც. იგი მუზეუმის ბევრად უფრო მნიშვნელოვან ნაწილად იქცევა, ვიდრე იყო, და ეს კარგად იციან წერილის ავტორებმა.

გასაოცარი ამ განცხადებაში სხვაა: ზემოთ მოყვანილ სიტყვებს ექსპონატების „გადათრევ-გადმოთრევის“ შესახებ (ორჯერ გადაადგილდა. ასეთ გამოთქმებს ექსპონატების მიმართ მუზეუმის მუშაკი არ უნდა ხმარობდეს) ხელს აწერს მუზეუმის მთავარი მცველი გ. ქლენტი, ადამიანი, რომლის უპირველეს სამსახურეობრივ მოვალეობას სწორედ ექსპონატთა დაცვა-პატრონობა შეადგენს. სხდომაზე გამოითქვა აზრი, რომ მუზეუმის მთავარი მცველი, რომელიც უკანასკნელ ხანს საკმაოდ კარგ ცოდნას ავლენს სამუზეუმო ინსტრუქციებისა, არაფერს აკეთებს ამ ცოდნის პრაქტიკული რეალიზაციისთვის. იგი მხოლოდ ლაპარაკობს ან წერს ასეთ წერილებს და ამით ცდილობს სახელის მოხვეჭას, რაც მუზეუმის მუშაკისათვის, ინტელიგენტისათვის, აშკარად შეუფერებელი საქციელია.

წერილში ნათქვამია „დღეისთვის დაზიანების სხვადასხვა ფორმების მძიმე სურათს წარმოაჩენს საგანძურის ექსპონატები, კაკაბაძის, ფიროსმანის, ახვლედიანის და სხვათა ნამუშევრები, ხატწერისა თუ ქვაზე კვეთილობის, ქსოვილების დაზგური ფერწერის ნიმუშები და მონუმენტური მხატვრობის ასლები...“

ამ სიტყვების წამკითხველთ უეჭველად შეექმნებათ აზრი, რომ ქართველი ერის კულტურის ისტორიას საშინელი საფრთხე ემუქრება.

რომ ოდნავ გავფანტოთ საზოგადოების შეძრწუნება გვინდა გაგაცნოთ პასუხი ამ ბრალდებაზე, რომელიც საბჭოს სხდომაზე გამოთქვეს მუზეუმის პასუხისმგებელმა თანამშრომლებმა. ქსოვილების განყოფილების გამგემ მ. კეცხოველმა აღნიშნა: „...მიმაჩნია არაეთიკურად, როდესაც არ იცი საკითხი და იმაზე ლაპარაკობ. სტატიაში ქსოვილების მდგომარეობის შესახებ გამოთქმული აზრი სიმართლეს არ შეეფერება!“

კაკაბაძის, ფიროსმანის, ახვლედიანის და სხვათა ნამუშევრების მდგომარეობა ჩვენი რესტავრატორების აზრით, არ იძლევა განგაშის არავითარ საბაბს.

სხდომაზე დაწვრილებით იმსჯელეს წერილში გამოთქმულ მოსაზრებაზე იმის შესახებ, რომ დავით კაკაბაძის ნამუშევრები „სამუდამოდ დაზიანდა“.

აღინიშნა, რომ მხატვრის საიუბილეო გამოფენის წინ, ნამდვილად დაგვიანებით გაკეთდა საგამოფენო დარბაზის რემონტი; ამან განაპირობა ექსპოზიციონერთა ოდნავი აჩქარება, რაც გამოწვეული იყო დ. კაკაბაძის საიუბილეო გამოფენის მხატვრულ კრიტიკოსთა საერთაშორისო სიმპოზიუმის მიმდინარეობის დროს გახსნის სურვილით. მაგრამ „ცნობა სველი კედლების შესახებ არ შეეფერება სინამდვილეს — თქვა სარესტავრაციო განყოფილების გამგემ ჯ. ახობაძემ — საგამოფენო დარბაზის კედლები შეიღება წყლის ემულსიური საღებავით, რომელიც 24 საათში სრულიად ამთავრებს შრობას, ხოლო სურათები დარბაზში შეტანილ იქნა მესამე დღეს. ჩემთვის დასანანია, რომ კედლების ნახევრად შრობას ადასტურებენ სარესტავრაციო განყოფილების, ამ საკითხში საკმაოდ ჩაუხედავი თანამშრომლები, რომლებმაც ემოციებს აყოლილებმა შექმნეს ესოდენ საგანგაშო საბუთი“.

დავით კაკაბაძის გამოფენის და სურათების მდგომარეობის შესახებ თავისი აზრი გამოსთქვა მხატვრის მემკვიდრეობის შესანიშნავმა მოამაგემ ქ-ნმა ე. ანდრონიკაშვილმა, რომელიც კატეგორიულად უარყოფს ნამუშევართა დაზიანების ფაქტს (ამასვე ადასტურებენ მუზეუმის სხვა თანამშრომლებიც).

ასეთია ჩვენი დამოკიდებულება აღნიშნული წერილის მიმართ, რომელმაც დიდი ტრავმა მიაყენა მუზეუმს. მიგვაჩნია, რომ უნდა შეწყდეს ყოველგვარი ბეზღობა და ურთიერთ ანგარიშსწორება. უჭირს ქვეყანას. უჭირს მუზეუმს. ისე როგორც არასდროს, სწორედ ახლაა საჭირო თანადგომა, ერთმანეთის გატანა, ურთიერთკეთილგანწყობა. მთელი ჩვენი ენერგია, ძალა, დრო საქმეს უნდა ხმარდებოდეს, დიდი ეროვნული საქმის სასიკეთოდ უნდა იყოს წარმართული. საქართველოს კულტურის სამინისტრომ უკვე შექმნა კომპეტენტური კომისია ჩვენი ეროვნული განძის დაცვასთან დაკავშირებული პრობლემების გასარკვევად და გადასაწყვეტად. ხელოვნების მუზეუმის დირექციამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ამავე მიმართულებით. სპეციალისტების აზრით ოქროს ექსპონატები არ არის დაზიანებული, ხოლო ვერცხლის ექსპონატების მდგომარეობის გასარკვევად საჭიროა სათანადო კვლევის ჩატარება. მალე საზოგადოებას ვაცნობებთ ობიექტურ, მეცნიერულ თვალსაზრისს მათ შესახებ.

მუზეუმს დღეს განსაკუთრებით მძიმე პირობებში უხდება მუშაობა. გვაქვს ხარვეზებიც, არც შეცდომებისაგან არა ვართ დაზღვეულნი. უშეცდომო მხოლოდ ის არის, ვინც არაფერს აკეთებს. მუზეუმის თითოეული მუშაკის წმინდა ვალია დიდი სიყვარულით ეპყრობოდეს თითოეულ ექსპონატს, მუზეუმს, ცდილობდეს საქმითაც და სიტყვითაც მისი ავტორიტეტის დაცვას. მეტი პატივისცემა გვმართებს გაზეთის მკითხველთა მიმართაც, რომლებსაც საჭიროა მივაწოდოთ ობიექტური ინფორმაცია. ზრუნვა მუზეუმის კეთილდღეობისათვის საპატიო საქმეა. ჩვენი საქმიანობა ისე უნდა წარვმართოთ, რომ დაუმსახურებლად ოდნავი ჩრდილიც კი არ მივაყენოთ მუზეუმის სახელს არც მოყვრისა და არც მტრის თვალში.

საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის სამეცნიერო საბჭო.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲑᲝᲠᲒᲐᲕᲘ ᲡᲣᲚᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ არასდროს მოსცილებია ბოროტი სული შინაური თუ გარეშე მტრის სახით. ეს ალბათ კანონზომიერიცაა; რამეთუ ბოროტი ყოველთვის არსებობს კეთილისა და მშვენიერის გვერდით.

ჭეშმარიტი ქართველი ყოველთვის ცდილობდა დაეცვა ქრისტეს შეგონება: „ნუ გეშინია მათი, ვინც სხეულს ჰკლავს, მაგრამ სულის მოკვლა არ ძალუძს, უფრო მეტად მისი გეშინოდეს, ვისაც სულის დაღუპვაც შეუძლია გეენაში და სხეულისაც“ (მათე, 10). სწორედ ამ შეგონების ძალამ მოიყვანა დღემდე ქართული მებრძოლი, გაუტეხავი სული, რომლის დაღუპვაც მტერს არ ძალუძს. ამ სულით ცხოვრობს დღეს ყველა ჭეშმარიტი ქართველი, ისინიც, ვინც სამშობლოდან შორს გადახვეწილან და არამც თუ არ დაუვიწყებიათ მშობლიური ენა, არამედ დარაჯად დამდგარან ქართული სულის გადასარჩენად. დიდი, უსაზღვრო და უფრო სხვანაირია მათი სიყვარული სამშობლოს მიმართ, ვიდრე აქ მცხოვრები ქართველისა, რადგან მათ იციან, რა არის სამშობლოს გარეშე ცხოვრება.

აი, რას წერს საფრანგეთში მცხოვრები ჟურნალ „ივერიის“ რედაქტორი მიხ. ქავთარაძე ამ რამდენიმე ათეული წლის წინათ:

„ზოგიერთმა ქართველმა რა იცის ჩვენებრი სამშობლოს სიყვარულისა, მას იგი არასდროს დაუკარგია ან თავისუფლების გამოყენებისა, მას იგი არასდროს ჰქონია...

...არც ერთი ქართველი საფრანგეთში აქ ისე არ მომკვდარა, რომ სიკვდილის წინ არ ეფიქროს, „მე ვერ მოვესწარი, მაგრამ სხვები მოესწრებიანო და ვაი იმ ქართველს, ვინც თავის ფიქრში დაუშვებს საქართველოს რუსთა მიერ პყრობის მარადისობას“.

მიხ. ქავთარაძე შესანიშნავი ლიტერატურათმცოდნე საქართველოს უბედობის დროს 1927 წელს წავიდა საზღვარგარეთ, სადაც მრავალი უკიდურესი გაჭირვება გადაიტანა, ვერ ეპუებოდა მისი ქართული სული სამშობლოდან შორს ყოფნას. მუშაობდა გერმანიაში, იტალიაში, ბოლოს საფრანგეთში პარიზთან ახლოს ლინაში დაიდო ბინა, სადაც გერმანელი ქალი შეირთო, მისგან ერთი ქალიშვილი ასინეთი დარჩა, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებშია გათხოვილი. ბ-ნი მიხეილი სისტემატიურად აქვეყნებს წერილებს ქართული მწერლობისა და საქართველოს შესახებ.

კითხულობ სტატიებს, კრიტიკულ წერილებს და სევდა გიპყრობს, რადგან თვალნათლივ ხედავ, როგორი ნიჭის, ერუდიციისა და ინტელექტის მქონე ხალხს დაუტოვებია საფიცარი სამშობლო და რა შორს გადახვეწილან; კითხულობ და გიკვირს, რომ სხვა ენის გარემოცვაში, როგორ შეურყვნელად შეუნარჩუნებიათ მათ ქართული ენა, ისეთი, ბევრ ჩვენგანს რომ შეშურდება.

„ქართული მოდგმის მბორგავი სულის რომანი“, აი როგორი ქართულით ასათაურებს იგი თავის წერილს, სადაც იხილავს ჭ. ამირეჯიბის რომანს „დათა თუთაშხია“.

სხვისი არ ვიცი, მაგრამ მე პირადად ასეთი ინტერესით, თანამედროვე რომანისადმი მიძღვნილი არც ერთი წერილი არ წამიკითხავს.

მთელი რომანი ერთი ამოსუნთქვით არის გარჩეული, აზრადაც არ მოგდის, რომ რომელიმე ადგილას შეჩერდე. ყველაფერი ბუნებრივად, სხვადასხვა კუთხიდან, ლოგიკური მსჯელობითაა ასხმული, ავტორი ღრმად გახედებს რომანის არსში, მწერლის მიერ ჩაფიქრებულ და წარმოსახულ გმირების ფსიქოლოგიაში.

მიხ. ქავთარაძეს თბილისში ახლო ნათესავები ჰყავს, მათ შორის ძმისშვილები — ბერდია, გურამი და ნანა ქავთარაძეები. ამასწინათ მასთან ლინაში სტუმრად იყო მისი ძმისშვილი ნანა ქავთარაძე და რძალი ნანა გორგიშელი, ისინი სწორედ მაშინ იმყოფებოდნენ ლინაში, როცა წმ. ნინოს სახ. ეკლესიაში იქაურმა ქართველებმა ორმოცი გადაუხადეს ჩვენს ეროვნულ გმირს მერაბ კოსტავას. ქ-ნი ნანა დღესაც ცრემლიანი იგონებს ამ დღეს.

სწორედ მათ მომაწოდეს მასალა ბ-ნ მიხეილის შესახებ. ინტერესმოკლებული არ იქნება ჩვენი მკითხველისათვის გავაცნოთ მ. ქავთარაძის აზრი — საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის მიზეზებისა და ჩვენი ეროვნული მოძრაობის შესახებ აი რას წერს იგი: **„საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის დაკარგვის მიზეზი ჩვენი სამხედრო დამარცხება იყო. ასე რომ, დამარცხების მიზეზია ასახსნელი. ეს კი იმიტომ მოხდა, რომ მოუმზადებელნი ვიყავით. ხოლო თუ რატომ, ამის ნათლად წარმოსაჩენად მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსა და 20 საუკუნის დასაწყისის საქართველოს ისტორიის ანალიზი იქნებოდა საჭირო. სულ მოკლედ რომ ვთქვათ: მარქსისტულ-ინტერნაციონალური დოქტრინით გაჟღენთილ და ამ იდეოლოგიის ბრმად მიმდევარ ქართველ სოციალ-დემოკრატებს, რომელიც მენშევიკების სახელს ატარებდნენ, თავიანთი იდეოლოგიის გამო, კიდევაც რომ ნდომოდათ, არ შეეძლოთ საქართველოს დარაზმვა წინააღმდეგ თავიანთი იდეოლოგიური ძმებისა, როგორნიც რუსი ბოლშევიკები იყვნენ. საქართველოს იმდროინდელი მთავრობის მოქმედება ანტისახელმწიფოებრივი და ანტიეროვნული იყო.**

ზურაბ ავალიშვილი მას შემდეგნაირად გვისურათებს: საქართველოს შინაური საქმეების ბეჯითმა ცოდნამ, სამხედრო ორგანიზაციის სრულმა უქონლობამ, მისცა მოსკოვის მთავრობას აზრი მოენელებინა საქართველო; როგორც კი გარეშე პირობები ხელსაყრელად მოეწყო 1921 წ. საქართველო გააწვინეს მაგიდაზე და გამოცდილმა ქირურგმა მას სასტიკი ოპერაცია გაუკეთა, მან იცოდა რომ ავადმყოფი გააბრუა და ოპერაციისათვის უკვე მოამზადა მასზე არანაკლებ გამოცდილმა, თუმცა არა მასავით გამბედავმა ქართველმა სოციალ-დემოკრატიამო.

რაც შეეხება თვით სამხედრო მოუმზადებლობას, უნდა გითხრათ შემდეგი: რუსული წითელი არმია ნამდვილ ჯარს წარმოადგენდა. ოფიცერთა დიდი ნაწილი ძველი რეჟიმის ოფიცრობა იყო, რომელიც კომუნიზმისათვის კი არ იბრძოდა, არამედ იბრძოდა დიდი რუსეთის აღდგენისათვის. მაშინ, როდესაც სახალხო გვარდიად გვიან მონათლულ ყოფილი წითელი გვარდიის უფროსი ჯუღელი რუსეთის მოტრფიალე რევოლუციონერი იყო, რომელიც მოგვიანებით მიემხრო პირადად ჟორდანიას, რადგან იგი მიაჩნდა რუსეთთან სხვაზე ნაკლებად დაშორებულად.

მაგრამ საქართველო, როგორც ერი — სახელმწიფო მას არ სწამდა, იგი რუსეთის უბედურებას დასტიროდა და გასაჭირში მყოფი მოსკოვში ყოფნას ნატრობდა. საქართველოს დამოუკიდებლობის ამბავი მან სოხუმიდან ფოთში დაბრუნებულმა შეიტყო და შეძრწუნებულმა ტფილისში გამოქვეყნებულ დღიურში კითხვა დასვა — იყო გამოწვეული ეს დამოუკიდებლობა სახელმწიფო აუცილებლობით — თუ ზეიმობდა წყეული ნაციონალიზმიო? და აი კიდევ რამდენიმე ფრაზა 1920 წლის 9 მარტის დღიურიდან — „მოხალისეების ლიკვიდაცია ხდება, მაგრამ თვით რუსეთი მეტად და მეტად ილუპება. წარმოებს პროცესი, დიდი სახელმწიფოს არნახული ნგრევისა. ილუპება დიდი ძლიერი და ულონო, ბედნიერი და უბედური რუსეთი და საშინელი ტკივილი, მაწამებელი წყენა, მძიმე ნაღველი ეუფლება მთელ ჩემს არსებას. საშინელნი ქარიშხალნი დაძრწიან თვალუწვდენელ სტეპებზე რუსეთისა და სთხრიან ყოველივეს, რაც ჩვენ ვნებით სილამაზით და მზრუნველი შემონახვით გვიყვარდაო“.

ამას წერდა საქართველოს დაპყრობამდე ერთი წლით ადრე ის კაცი, ვისაც ჟორდანიამ ქვეყნისა და მისი რეჟიმის დაცვა მიანდო. განა საჭიროა ძებნა ჩვენი დამარცხების მიზეზებისა?

რაც შეეხება საქართველოს დღევანდელ ეროვნულ მოძრაობას ამაზე მოკლედ მხოლოდ ჩემს გრძნობებს და ზოგად შეხედულებას გაგაცნობთ. გამოღვიძებას, რომელსაც დღეს ვხედავთ, მუდამ ვნატრობდი და მოველოდი კიდევაც. ქართველთა გულებში პატრიოტიზმის ღვივილის უეჭველობაც აღვნიშნე ჩემს ერთ წერილში. რაც ხდება მოსალოდნელი იყო. როგორც დახშულ ჰაერს მოკლებულ გარემოში ცეცხლი მხოლოდ ფარულად ღვივის, ხოლო ჰაერის თავისუფლად მოხვლისთანავე ავარდება, ისე ღვიოდა ეროვნული შეგნებაც და იგი ნაწილობრივი თავისუფლების სიოს მოქროლვისთანავე ალად ავარდა. კაცს გულის ნაცვლად ქვა უნდა ედოს, რომ აღტაცებამ და სიხარულმა არ შეიპყროს და მეც ამგვარად განვიცდი ამ მოვლენას!!“

ჭარმაგი და მხნე 83 წლის მიხ. ქავთარაძე სულით და ხორცით საქართველოს თავისუფლების იმედით ცოცხლობს.

დე, სულ მალე მოსწრებოდეს იგი ამ სანუკვარი ოცნების ასრულებას, რამეთუ დღევანდელი სრულიად საქართველო ამის დიდ იმედს იძლევა.

ᲘᲐ ᲔᲮᲕᲐᲜᲯᲘᲐ

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: მიხეილ ქავთარაძე რძალთან, ნანა გორგიშელთან და ძმისშვილთან.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲖᲔᲜᲐᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲡ

ᲐᲛᲮ. Გ. ᲒᲣᲛᲑᲐᲠᲘᲫᲔᲡ

მიგვაჩნია, რომ ერთპარტიული საარჩევნო სისტემა წარმოადგენს დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოებრიობის იგნორირების პოლიტიკურ საფუძველს, ვინაიდან საქართველოს დღევანდელ პოლიტიკურ ცხოვრებაში რეალურად არსებული მრავალპარტიულობა კანონგარეშეა, რაც საფრთხეს უქმნის თავისუფალი პოლიტიკური სტრუქტურის ჩამოყალიბებას და, გამომდინარე აქედან, დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენას, საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს ფსიქიატრიის ინსტიტუტისა და რესპუბლიკური კლინიკური ფსიქიატრიული საავადმყოფოს თანამშრომლები, ემყარებიან რა საერთაშორისო სამართლის ორ ძირითად პრინციპს — „ერისა და პიროვნების თავისუფლებას“, გმობენ ერთპარტიულ სისტემას პოლიტიკაში და შეუძლებლად მიიჩნევს თავისუფლების, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის რეალურ განხორციელებას მრავალპარტიული საარჩევნო სისტემის ფუნქციონირების გარეშე. მიაჩნია აგრეთვე, რომ მრავალპარტიული საარჩევნო სისტემა რეალური გზაა თავისუფალი სახელმწიფო სტრუქტურის ჩამოსაყალიბებლად, რაც საქართველოს დამოუკიდებლობის ერთადერთ შესაძლო გარანტს წარმოადგენს და მოითხოვს შემდეგს:

1. დაუყოვნებლივ (1 თებერვლამდე) მოწვეულ იქნეს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს რიგგარეშე სესია.
2. ტრანსფორმირებულ იქნეს საქართველოს სსრ კონსტიტუციის მე-3, მე-6, მე-7 და 49-ე მუხლები მრავალპარტიულობის დაშვების შესაძლებლობით.
3. მიღებულ იქნეს კანონი პოლიტიკურ ორგანიზაციათა შესახებ.

კრებას აუცილებლად მიაჩნია, მიმდინარე არჩევნები ჩატარდეს მრავალპარტიულ სისტემაზე დაფუძნებით.

ამავე დროს, კრება გმობს პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ მიზნების მიღწევისათვის ძალადობის ყოველგვარი ფორმის გამოყენებას, ექსტრემისტულ გზებს და ემხრობა მოქმედების პარლამენტულ პრინციპებს.

ფსიქიატრიული ინსტიტუტისა და რესპუბლიკური ფსიქიატრიული კლინიკური საავადმყოფოს 800-კაციანი კოლექტივის სახელით

ᲐᲕᲚᲘᲐ ᲖᲣᲠᲐᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲜᲐᲜᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲨᲝᲗᲐ ᲒᲐᲛᲧᲠᲔᲚᲘᲫᲔ, ᲝᲗᲐᲠ ᲛᲐᲭᲐᲕᲐᲠᲘᲐᲜᲘ, ᲜᲘᲜᲝ ᲩᲮᲔᲘᲫᲔ, ᲐᲠᲩᲘᲚ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ, ᲛᲐᲘᲐ ᲨᲐᲠᲐᲨᲘᲫᲔ, ᲕᲔᲢᲐ ᲛᲔᲚᲜᲘᲙᲝᲕᲐ, ᲚᲐᲜᲐ ᲛᲔᲚᲜᲘᲙᲝᲕᲐ, ᲛᲖᲘᲐ ᲑᲝᲒᲘᲩᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲜᲐᲜᲐ ᲓᲣᲓᲣᲩᲐᲕᲐ, ᲕᲐᲓᲘᲛ ᲜᲔᲑᲘᲔᲠᲘᲫᲔ, ᲕᲘᲢᲐᲚᲘ ᲙᲐᲖᲘᲐ და სხვ.

სულ 81 ხელმოწერა.

ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲬᲔᲕᲠᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲡ

ყველასათვის ცნობილია ის დიდი პასუხისმგებლობა, რომელიც გვაკისრია მომავალ არჩევნებში ყოველ ამომრჩეველს. დეპუტატობის ღირსეულ მრავალ კანდიდატს დაუპირისპირდებიან არსებული ხელისუფლების ბიუროკრატიული ძალები. დაუპირისპირდებიან ისინი, ვინც 18 თებერვალს ორგანიზაცია გაუკეთა და ერთმანეთს მიუსია ქართველი ახალგაზრდობა, ვინც 25 თებერვლის წინა დღეებში, სხვადასხვა კრებაზე და ინფორმაციის ყველა სახის გამოყენებით გმობდა საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღორძინებას და მოითხოვდა ამ მოძრაობის ლიდერთა პასუხისგებაში მიცემას, ვინც ეროვნულ მოძრაობაში ჩაბმულთ ექსტრემისტებად ნათლავდა.

საქართველოში უზენაესი საბჭოს სახალხო დეპუტატად გახდომას მოისურვებენ ისინიც, ვინც 8 აპრილს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე მქუხარე ტაშით შეხვდა კოჩეტოვისა და როდიონოვის გამოჩენას; ისინი, რომლებმაც ამავე კრებაზე ძალის გამოყენებით მიტინგის შეწყვეტის გადაწყვეტილება მიიღეს, საკუთარ ხალხს უღალატეს და მათ წინააღმდეგ ჯარის ნაწილები გამოიყვანეს. დეპუტატობას მოინდომებენ ისინიც, რომლებიც ამავე კრებაზე ერთხმად გაიძახოდნენ: „...საქართველო უნდა იყოს სოციალისტური და საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში, სხვა გზა არ გვაქვს“-ო (გაზეთი „კომუნისტი“ 1989 წ. 9 აპრილი.). აი ასეთი ხალხისათვის საქართველოს ბედის ნდობა დაუშვებელია, დაუშვებელია უბრალოდ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად მათი დასახელებაც კი, მათ არ აქვთ მორალური უფლება იყვნენ საქართველოს სახალხო დეპუტატები. ჩვენ ღრმად გვწამს, გვჯერა და ამიტომაც მოგმართავთ თქვენ ძვირფასო თანამემამულენო თხოვნით:

უნდობლობა გამოვუცხადოთ ყველას, ვინც მონაწილეობდა ზემოთ ჩამოთვლილ ღონისძიებებში, განურჩევლად ეროვნებისა, დამსახურების თუ თანამდებობისა, არ დავუშვათ მათი არჩევა საქართველოს უზენაეს საბჭოში.

ლენინის რაიონის რეგიონალური სახალხო ფრონტი.

გამოხმაურება

„ახალგაზრდა კომუნისტის" რედაქციას

22 ნოემბერს თბილისის უნივერსიტეტის ცხოვრებაში უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა: ქრისტიანულ-დემოკრატიული ახალგაზრდობის ასოციაციის ინიციატივით (ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა და თსუ პრესკლუბის მხარდაჭერით) ჩვენი სასწავლებლის შენობაში დაივანა წმინდა გიორგის ხატმა.

ამ ფაქტს ფართოდ გამოეხმაურა რესპუბლიკური პრესა და ტელევიზია. გაზეთებში დაბეჭდილმა წერილებმა თუ სატელევიზიო სიუჟეტებმა ახარა ჩვენს ხალხს, რომ „საფუძველი ჩაეყარა უნივერსიტეტის ეკლესიის აღდგენის საქმეს". ის კი არა, ტელევიზიამ აღარ დაუცადა დროსა და მოვლენების განვითარებას და ეკლესია გახსნილადაც გამოაცხადა (ეს, ალბათ, დიდი სიხარულით გამოწვეული ლაფსუსი იყო).

როდესაც ჟურნალისტი საქვეყნოდ ისეთ რამეს ამტკიცებს, რაც შენს სულსა და გულს ესალბუნება, ძნელია, ეჭვი შეგეპაროს მის სიმართლეში, თუმცა არც ის უნდა იყოს გასაკიცხი, ვკითხოთ მათ, საიდან მოიტანეს ესა თუ ის ზუსტი თარიღი ან ცნობა. როდესაც თქვენს გაზეთში დაბეჭდილი წერილის სათაური „უნივერსიტეტს კვლავ ექნება საკუთარი ეკლესია" წავიკითხეთ, რა თქმა უნდა, გაგვიხარდა, მაგრამ მერე ჩვენი ყურადღება მიიქცია ზმნიზედამ, რომელმაც უფრო ფართო აზრი მისცა ფრაზას: „კვლავ ექნებაო", გულისხმობს — „ჰქონდაო". წერილში ზუსტი თარიღიცაა მითითებული, კერძოდ, ვკითხულობთ: „ადრე ასე იყო: ყოველ სასწავლებელს თავისი კარის ეკლესია ჰქონდა. შენობა ისე არ აშენდებოდა, აღმოსავლეთის კედელში საკურთხეველი არ გამოეკვეთათ და სახურავისთვის გუმბათი არ დაედგათ. ასე მოხდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგებისასაც. პირველ კორპუსში, სადაც ამჟამად პარტბიურო, კომკავშირის კომიტეტი და სამკითხველო დარბაზია, 1926 წლამდე მოქმედებდა წმინდა გიორგის სახელზე ნაკურთხი ეკლესია" („ახკომი", 25/XI-1989). ასევე ზუსტ თარიღს ასახელებენ გაზეთები: „საქართველო" და „კომუნისტი":

„უნივერსიტეტში დღიდან დაარსებისა, ვიდრე, 1926 წლამდე, მოქმედებდა წმინდა გიორგის სახელზე ნაკურთხი ეკლესია" („საქართველო", 22/XI-89). „...უნივერსიტეტში მისი დაარსების დღიდან 1926 წლამდე მოქმედებდა წმინდა გიორგის სახელზე ნაკურთხი ეკლესია" („კომუნისტი", 24/XI-89).

უნივერსიტეტის გაზეთმაც პირდაპირ გადმოიწერა რესპუბლიკური პრესის ცნობა („თბილისის უნივერსიტეტი", 1/XII-89).

გაზეთმა „თბილისმა" სხვა თარიღი შემოგვთავაზა: „1922 წელს ეკლესია გააუქმესო", — წერს ხათუნა მაისაშვილი წერილში „დაბრუნება" („თბილისი", 24/XI-89).

კაცი იფიქრებს, ჟურნალისტებს უნივერსიტეტის ისტორიასთან დაკავშირებული აქამდე უცნობი დოკუმენტისთვის მიუგნიათო, მაგრამ, რაკიღა თვითონვე ვერ შეთანხმებულან თარიღის სიზუსტეში, ამით საბაბს გვაძლევენ, რომ ეჭვი შევიტანოთ ამ დოკუმენტის უტყუარობაში. და მაინც, მცირე წინააღმდეგობის მიუხედავად, რესპუბლიკური პრესა კატეგორიულად ამტკიცებს, რომ თბილისის უნივერსიტეტის ეკლესია არსებობდა 1926 წლამდე.

უპირველეს ყოვლისა, ვთხოვთ ყველა ჟურნალისტს, ვისაც მოეპოვება დოკუმენტი ან საიმედო ცნობა, რომლის მიხედვითაც ასაბუთებენ უნივერსიტეტში 1926 წლამდე ეკლესიის არსებობასა და საღვთო სჯულის საგნების სწავლებას, მოგვაწოდონ ან მიგვითითონ მათ შესახებ.

მანამდე კი გაგიზიარებთ ჩვენს მოსაზრებას: გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი" საკუთარ ინფორმაციაში წერს, რომ 1926 წლიდან ეკლესიის გაუქმებასთან ერთად „შეწყდა უნივერსიტეტში საღვთო სჯულის საგნების სწავლება, ისევე, როოგორც სხვა საბჭოთა სასწავლებლებში". სხვა საბჭოთა სასწავლებლების რა მოგახსენოთ, მაგრამ ჩვენ ვერ მივაკვლიეთ ცნობას იმის შესახებ, რომ თბილისის უნივერსიტეტში საღვთო სჯულის საგნები ისწავლებოდა. ცალკეული დარგების მიხედვით არსებულ სასწავლო სანიმუშო გეგმებიდან ირკვევა, რომ ისტორიის დარგის სპეციალობისათვის სავალდებულო საგნად ითვლებოდა საეკლესიო ისტორია (ზოგადი და საქართველოსი) და ისლამის ისტორია. ვიცით ისიც, რომ სწავლების პირველსავე სემესტრში ორშაბათობით 20 საათსა და 20 წუთიდან 21 საათამდე, ხოლო პარასკევს — 19 საათსა და 30 წუთიდან 20 საათსა და 10 წუთამდე პირველ აუდიტორიაში კორნელი კეკელიძე კითხულობდა საეკლესიო ისტორიის კურსს (ამ ცნობის მიკვლევას არ სჭირდება არქივში მუშაობა. იხ. გ. გამყრელიძე, თბილისის უნივერსიტეტი, 1928-1948, თბ., 1948 წ. გვ. 47-50).

როგორც ცნობილია, 1918 წლის 26 იანვარს, უნივერსიტეტის გახსნის დღეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კირიონ II უნივერსიტეტში პარაკლისი გადაიხადა, დალოცა იგი და ისურვა, რომ „მალე გახსნილიყო ყველა განზრახული ფაკულტეტები და მიჰმატებოდეს მათ საღვთისმეტყველო ფაკულტეტი, როგორც ეს დასავლეთ ევროპაში არის მოწყობილი". (ს. ჯორბენაძე, თბილისის უნივერსიტეტის მოკლე ისტორია, თბ, 1988, გვ. 44). კათოლიკოს-პატრიარქის სურვილს მხარი არ დაუჭირეს უნივერსიტეტის დამფუძნებლებმა. მოგვიანებით, 1920 წელს, ივანე ჯავახიშვილი განმარტავდა თავის უარყოფით დამოკიდებულებას ამ საკითხისადმი: თბილისის უნივერსიტეტმა „არ მოისურვა განსაკუთრებული საღვთისმეტყველო ფაკულტეტის შექმნა, რომ ამით ვიწრო და ცალმხრივი მიმართულება არ მიეღო სარწმუნოებათა მეცნიერების შესწავლას და ღვთისმეტყველება იმგვარადვე, როგორც ეს ყველა ზემოდასახელებული ქვეყნის (გერმანიის, შვეიცარიის, ინგლისის, ამერიკის, აგრეთვე ტარტუს უნივერსიტეტები, — ზ. გ.) თეოლოგიურ ფაკულტეტებზეა, მხოლოდ საქრისტიანო მოძღვრებისა და ეკლესიის ისტორიად არ ქცეულიყო და პრაქტიკულ მიზნებს მსხვერპლად არ შეეწირათ დანარჩენ სარწმუნოებათა შესწავლა.: ამ მხრივ ჩვენი უნივერსიტეტის გეგმა არსებითად განსხვავდებოდა ყველა სხვა არსებული უნივერსიტეტების გეგმისაგან" (ს. ჯორბენაძე, ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, 1984, გვ. 225-226).

ასეთი იყო ვითარება იმ პერიოდში, ასეთი აზრი ჰქონდა უნივერსიტეტში თეოლოგიური ფაკულტეტის შექმნისა და საღვთისმეტყველო საგნების სწავლების შესახებ ივ. ჯავახიშვილს. მაშინ სხვა დრო იყო, ახლა სხვა დროა, დიდი ერისკაცის ეს მოსაზრება იქნებ ახლანდელ ვითარებას არც ეხმაურება, თუმცა ეს უნივერსიტეტისა და ქართველი ხალხის გადასაწყვეტია და ჩვენი კომპეტენცია არ გახლავთ. ამით მხოლოდ იმის თქმა გვინდა, რომ თბილისის უნივერსიტეტში დაარსების დღიდანვე იკითხებოდა საეკლესიო ისტორია და არა საღვთო სჯულის საგნები და, რაღა თქმა უნდა, 1926 წელს ვერ შეწყდებოდა მათი სწავლება.

ჩვენი აზრით, გაზეთ „თბილისში" დაბეჭდილ სტატიაში რამდენიმე უზუსტობაა დაშვებული. კერძოდ, ხ. მაისაშვილი (სხვათა შორის, იგი ერთადერთი ჟურნალისტია, ვინც წერილს ხელი მოაწერა, სხვა გაზეთებში ცნობები უნივერსიტეტის ეკლესიის შესახებ ხელმოუწერელია) წერილში „დაბრუნება" წერს: „1899 წელს, როდესაც საძირკველი ეყრებოდა თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიას..., მის პროექტში გათვალისწინებული იყო ეკლესიაც". აქამდე ასე იყო ცნობილი, რომ სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობის ასაგებად საჭირო სახსრების შეგროვება დაიწყო 1897 წლიდან, 1898 წელს ვარაზის ხევის გაღმა შეძენილ იქნა ექვსი დესეტინა მიწა. 1899 წელს დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები, ხოლო შენობას საძირკველი ჩაეყარა არა 1899 წელს, არამედ 1900 წლის 14 ოქტომბერს. (გ. გამყრელიძე, დას. ნაშრომი, გვ. 27-28, ს. ჯორბენაძე, თბილისის უნივერსიტეტის მოკლე ისტორია გვ. 14. სხვათა შორის, ამის წაკითხვა შეიძლება უნივერსიტეტის შენობაზე მიმაგრებულ მარმარილოს დაფაზეც). „1906 წელს, — ვკითხულობთ გაზეთ „თბილისში", — მთავარეპისკოპოსმა კირიონმა აკურთხა თბილისის სათავადაზნაურო ქართული გიმნაზიის წმინდა გიორგის ეკლესია. 1918 წელსაც, როდესაც ეკლესიას თბილისის უნივერსიტეტის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია ეწოდა, იგი კვლავ პატრიარქმა კირიონმა აკურთხა". ჩვენი აზრით, აქ ორი უაღრესად საინტერესო ცნობაა მოცემული, თუ ისინი რეალურია:

1. სადაა შენახული ცნობა იმის შესახებ, რომ ეკლესიას „თბილისის უნივერსიტეტის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია ეწოდა"?

2. რა მოხდა სათავადაზნაურო გიმნაზიის კარის ეკლესიის ცხოვრებაში ისეთი (გაუქმდა, წაიბილწა...), რომ არსებობის მე-12 წელს ხელმეორედ კურთხევა დასჭირდა? ნუთუ იმის გამო აკურთხეს, რომ მას „უნივერსიტეტის ეკლესია" ეწოდა? 1918 წლის 26 იანვარს კათოლიკოს-პატრიარქმა კირიონმა პარაკლისი გადაიხადა, მაგრამ პარაკლისი კურთხევა არ არის.

ზედაპირულად ხომ არ ვუყურებთ საქმეს და მხოლოდ იმის გამო ხომ არ გამოგვაქვს დასკვნა უნივერსიტეტის ეკლესიის თაობაზე, რომ ჩვენი სასწავლებელი იმავე გიმნაზიის შენობაში მოთავსდა, რომელსაც ეკლესია ეკუთვნოდა? ახლად დაარსებულ უნივერსიტეტს თავდაპირველად ხომ მხოლოდ სამი ოთახი ჰქონდა დათმობილი. აქვე იყო მოთავსებული რამდენიმე სხვა დაწესებულება, მათ შორის, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, ამ საზოგადოების მუზეუმი, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმი და სხვა. ის კი არა, აქ ჯარის ნაწილებიცა და ლტოლვილებიც აფარებდნენ თავს, პირველ სართულზე გერმანელთა ჯარების საწყობიც კი ყოფილა მოწყობილი.

1922-23 წლებში ანტირელიგიური მოძრაობის გამო ბევრგან განადგურდა საეკლესიო ძვირფასეულობა. ამის გამო საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის მიერ შექმნილმა კომისიამ სასწრაფოდ მოაგროვა სხვადასხვა რაიონების ეკლესიებიდან ისტორიული და მხატვრული ძეგლები და, მცირე გამონაკლისის გარდა, ყველაფერი თბილისში ჩამოიტანა, მაგრამ ეს განძი ადგილის უქონლობის გამო ვერც ერთმა მუზეუმმა ვერ მიიღო. მისი დიდი ნაწილი, ყუთებში ჩალაგებული, თვეობით ინახებოდა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში (ე. ი. ყოფილი გიმნაზიის შენობაში). გიორგი ჩუბინაშვილმა, რომელიც უნივერსიტეტის ხელოვნების კაბინეტს ხელმძღვანელობდა, სთხოვა ივანე ჯავახიშვილს, გაეთავისუფლებინათ დროებითი ინვენტარისაგან უნივერსიტეტის შენობაში არსებული ყოფილი კარის ეკლესია და იგი ხელოვნების კაბინეტისათვის გადაეცა, რომელიც მიიღებდა ზემოთდასახელებულ განძს და აქ გახსნიდა ძველი ქართული ხელოვნების მუზეუმს. ეს მუზეუმი იარსებებდა ხელოვნებათმცოდნეობის კაბინეტთან და მას სასწავლო დანიშნულება ექნებოდა.

მართლაც ასე მოხდა, გაათავისუფლეს ყოფილი კარის ეკლესია, რომელიც საწყობად იყო გამოყენებული და შეაკეთეს.

«Ремонт этого помещения, состоящего из большого квадратного зала о четырех массивных пилонах и купола в центре и хорошо освещенного, был проведен в соответствии с составленным в ближайшем сотрудничестве с архитектором при Кабинете, Н. П. Северовым, проектом переоборудования под музейную экспозицию, изготовлены в самом же помещении невысокие стенки, встроенные для развески экспонатов, обтянуты материей и т. д. Одновременно шла приемка самих музейных экспонатов на хорах помещения». (Г. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство, Тб, 1959, стр. VII—VIII).

1930 წელს ექსპოზიცია ჩამოხსნეს და მუზეუმიც დაიხურა; დაიხურა უნივერსიტეტის სხვა მუზეუმებიც; დაიხურა თვით უნივერსიტეტი. შენობიდან გააძევეს ყველა სამუზეუმო ექსპონატი. ბატონ ალექსანდრე ბარამიძეს დღესაც მწარედ ახსენდება უნივერსიტეტის ბაზაზე შექმნილი პედინსტიტუტის დირექტორის ივანე ვაშაყმაძის სიტყვები: «Немедленно убрать эту музейную гниль!». ისევ ჩაამწყვდიეს ყუთებში ძვირფასი ხატები და ხელნაწერები და ახალი თავშესაფარის საძებნელად გაუყენეს გზას.

მაშასადამე, არ არის ზუსტი ცნობა იმის შესახებ, რომ უნივერსიტეტში ეკლესია 1926 წლამდე მოქმედებდა, ამ დროისათვის აქ უკვე უნივერსიტეტის ძველი ქართული ხელოვნების მუზეუმი იყო მოთავსებული.

1926 წელს ჩვენს სასწავლებელში მართლაც დიდი ცოდვა დატრიალდა — რექტორობიდან გაათავისუფლეს დიდი ივანე ჯავახიშვილი. იქნებ ჟურნალისტები ეკლესიის გაუქმებას ამ ფაქტთან აპრიორულად აკავშირებენ?!

მსოფლიოში მეტნაკლებად ცნობილ უნივერსიტეტთა კომპლექსში ჩართულია ეკლესია (სამლოცველო); მიუხედავად იმისა, რომ იგი თითქმის ყველგან ცალკე არქიტექტურული ნაგებობაა, ეკლესია საუნივერსიტეტო ცხოვრების ორგანული ნაწილია. თბილისის უნივერსიტეტის ისტორიაში კი არ ჩანს კვალი ეკლესიის არსებობისა. რაც შეეხება სათავადაზნაურო გიმნაზიის ეკლესიას, მისი დოკუმენტაცია შეიძლება საპატრიარქოს არქივში ინახება. იქ მრავალი საინტერესო ცნობა იქნება დაცული, მისი შესწავლა-დამუშავების საქმეში ამ არქივის თანამშრომელთა იმედი უნდა ვიქონიოთ.

ყოფილი გიმნაზიის კარის ეკლესიის ორ სართულად დაყოფა მოხდა 30-იან წლებში. დროთა განმავლობაში ფართობის სიმცირის გამო მნიშვნელოვნად შეიცვალა მთლიანად შენობის ინტერიერი, დამახინჯდა მშვენიერი ნაგებობა. მისთვის (ეკლესიასთან ერთად) პირვანდელი არქიტექტურული სახის დაბრუნების იდეა წმინდა გიორგის ხატის გადმოსვენებამდე გაცილებით ადრე გაჩნდა უნივერსიტეტში. ამის შესახებ იყო მსჯელობა, ამიტომ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, ვიტყვით მხოლოდ შემდეგს: საჭიროა სასწრაფოდ გაკეთდეს სარესტავრაციო სამუშაოების არქიტექტურული გეგმანახაზი და თვალსაჩინო ადგილას გამოიფინოს, რათა ყველას მიეცეს შეფასებისა და აზრის გამოთქმის საშუალება, გუმბათზე უნდა დაიდგას ჯვარი, რომლის ხელყოფა, ცნობილი ვითარების გამო, უნივერსიტეტის ცოდვად ითვლება; ყოფილი ეკლესიის შენობის რესტავრაციის შემდეგ სასურველია, იგი მოიხატოს, თუ მოხატული არ ყოფილა და ფრესკაში, ტრადიციისამებრ, შენობის ამგებთა და უნივერსიტეტის დამაარსებელთა სახეები გაცოცხლდნენ.

ვსარგებლობთ შემთხვევით და წერილის დასასრულს კიდევ ერთხელ ვთხოვთ ყველას: მოგვაწოდეთ უნივერსიტეტის ისტორიასთან დაკავშირებული მასალები. ჩვენი მუზეუმი დიდი მადლიერებით მიიღებს, შეინახავს და საექსპოზიციო დარბაზის გამოყოფისთანავე (იმის მიუხედავად, თუ სად იქნება იგი) შესაფერის ადგილს მიუჩენს მათ.

ზურაბ გაიპარაშვილი,
უნივერსიტეტის მუზეუმის თანამშრომელი.

ავტორის თხოვნით ჰონორარი გადაირიცხება საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბჭოს ანგარიშზე.

ოფიციალური პასუხი

(დასასრული)

ბუნებრივი და ხელოვნური ხის საფარიანი ტრასები დაბა ბაკურიანში. კეთილმოეწყო თბილისის ცენტრალური ველოდრომის მიმდებარე ტერიტორია, თბილისის „დინამოს" სტადიონზე დამონტაჟდა ელექტროტაბლო. გარკვეული თანხები გადაირიცხა, რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქის სპორტული ბაზების მშენებლობისათვის და რეკონსტრუქციისათვის. გარდა ამისა, საკავშირო სპორტსახკომმა სპორტლოტოს საკავშირო თანხებიდან რესპუბლიკას გამოუყო 3,6 მილიონი მანეთი. თუმცა ეს თანხაც არ არის საკმარისი რესპუბლიკის გაზრდილ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ამიტომ მოკავშირე რესპუბლიკების სპორტსახკომთა მოთხოვნის შესაბამისად საკავშირო სპორტსახკომმა აღძრა საკითხი საკავშირო მინისტრთა საბჭოს წინაშე რესპუბლიკებში მიღებული მოგების 50 პროცენტის ადგილებზე დატოვების შესახებ, ეს საკითხი სადღეისოდ გადაწყვეტის სტადიაშია.

ჩვენს სურვილს სპორტლოტოსა და სპორტპროგნოზის რესპუბლიკაში დაბეჭდვა-გასაღების შესახებ თან სდევს მთელი რიგი გადაუწყვეტელი პრობლემები, პირველ რიგში, ის, რომ რესპუბლიკას არ გააჩნია სახნიშნის ქაღალდის ფონდი, სპეციალური საბეჭდი მანქანები. ბუნებრივია საკავშირო გაერთიანებაც აღარ გამოუყოფს ავტომანქანების იმ საპრიზო ფონდს, რაც სადღეისოდ რესპუბლიკას ეძლევა (50 ცალი ვაზ-21,07, 16 გაზ-2410, მათ შორის 10 „სპრინტში").

მიუხედავად მთელი რიგი დაბრკოლებებისა, გადაწყვეტილი გვაქვს 1990 წლიდან გავატაროთ ლატარია „ბაკურიანი-98", რომლის შემოსავალი მთლიანად მოხმარდება დაბა ბაკურიანის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას, მაგრამ მიუხედავად ამისა საბოლოოდ არ არის გადაწყვეტილი ბეჭდვის საკითხი, ვინაიდან კიევის ოფსეტური ბეჭდვის ფაბრიკას, სადაც იბეჭდება ამ სახის ბილეთები, დღემდე არ გააჩნია საჭირო რაოდენობის სპეცქაღალდი და მეტალის სამაგრები.

ერთი პოეტის გადასარჩენად

თუში ქალების ჩუმი სევდით აღსავსე სიმღერებს სულგანაბული თუ მიუგდებ ყურს, ამ სევდასა და საყვარელ მელოდიას მიენდობი და ერთი მოთხრობის გმირივით (ჯილაური, თამაზ ბიბილურის მოთხრობიდან „ჩივილი“) შენც სურვილი აგიტანს, რომ ეს მდორე და გრძელი სიმღერები არასოდეს დამთავრდეს.

ეს სტრიქონები — რაც თავისი ღრმა სევდით ბუნებრივად მიჰყვება საერთო დინებას და შორეულად ზოგჯერ ხალხური პოეზიისათვის ნიშანდობლივი ინტონაციაც ჩაგესმის.

სიმღერები კვლავ გრძელდება და მელოდია ხელახლა რომ აგიყოლიებს, უცნობი სტრიქონებიც კვლავ გამოერევა.

არა, მართლაც აშკარად განსხვავდება თუშური ხალხური პოეზიისაგან ვერსიფიკაციულადაც და ახალი მოტივებითაც.

თუმცა ასე. შენ ფიქრობ და შენ გამოარჩევ, ხოლო თუშებისათვის ეს ყველაფერი ერთი დაუსრულებელი მთლიანობის სხვადასხვა ნაწილებია.

ფრიალოებო, მიმღერეთ რამე,
ჯიხვთა ბილიკებს თუ
გადავურჩი,
ნაბდად დამხურეთ თუშეთის
ღამე,
ქვეშ დამიფინეთ ცვრიანი ქუჩი.

ეს სტრიქონები ან მაინც არაფერს გაგახსენებს, ანდა უკვე შესაძლოა მეხსიერებაში წამოატივტივოს ჟურნალ „ჩვენი თაობის“ (გამოდიოდა 30-იანი წლების ბოლოსა და 40-იანი წლების დასაწყისში) ერთ-ერთი ნომერი და ადამ ალვანელის სახელი, ბუნდოვნად გაგახსენოს მისი სხვა ლექსებიც ამავე ჟურნალში დაბეჭდილი და საჯარო ბიბლიოთეკისეულ ერთ ცალზე ალვანელის ქვეშ ვიღაცის გაკრული ხელით მინაწერიც: ბობღიაშვილი, 1912-1943.

თუშებს აოცებთ, მაგრამ გასაოცებელი ისიც კი არ არის, ადამ ბობღიაშვილის სახელი საერთოდ რომ არც გაგეგონოს, არც მისი ტრაგიკული ბედისა იცოდე არაფერი. შემთხვევით თუ შეიტყობდი, ეს ტრაგიკული ბედი ისე აგაღელვებდა, რომ მისი ლექსების საძებნელად აგიყოლიებდა. არა იმ ლექსებისა, „ჩვენს თაობაში“ რომ გამოქვეყნდა და ძირითადად ბევრი არაფრით გამოირჩევა იმდროინდელი პოეზიის საერთო ნაკადისაგან, არამედ იმ ლექსებისა, რომელშიც თავისი ყოფის ტრაგიზმი დაიტირა პოეტური სიმძაფრით.

ეს მას მერე მოხდა, რაც რეპრესიებში მოყოლილი ჭაბუკი იძულებული შეიქნა თოფი აეღო და თუშეთის მთებში გადავარდნილიყო. ასე შერჩნენ ერთმანეთის პირისპირ მარტოკაცი და ტოტალიტარული სახელმწიფო, ასე გაიწირა კიდევ ერთი ღირსეული პიროვნება.

მისი ლექსების ერთი ნაწილი სიმღერებად ქცეულა თუშეთში და ასეც გადარჩებოდა, გაცილებით უფრო მოზრდილი ნაწილი და რამდენიმე მოთხრობა ლიზა ვახვახიშვილს რომ არ გადაერჩინა და საკმაოდ რთულ პირობებში თვალისჩინივით არ მოფრთხილებოდა.

იმ რამდენიმე მოთხრობაში მკაფიოდ იგრძნობა, რომ ადამ ბობღიაშვილი ალექსანდრე ყაზბეგის მიერ დანერგილ ლიტერატურულ ტრადიციას მიჰყვება, მისი სკოლის პროზაიკოსია წერის თავისებური მანერითაც და რომანტიკული გმირების ხატვითაც, თუმცა კარგად ახერხებს ყაზბეგის სტილური ძიებანი და მიღწევანი ორიგინალურად გაიაზროს და თვითმყოფადობის შენარჩუნება მოახერხოს. რაც შეეხება რომანტიკული გმირების ხატვას: მისი ბუნებისათვის უთუოდ მახლობელი იყო ასეთი ხასიათები და რომანტიკული გმირების მეშვეობით, არსებითად, საკუთარ თავს გამოხატავდა.

ასევე რომანტიკულად წარმოგვიდგება ადამ ბობღიაშვილი, ასევე შეუპოვრად და თავგანწირულად მამუკა წიკლაურის ლექსში — „თქვენს მთვარეს სისხლი ურევია, თუშებო“, ასეთი რომანტიკული განწყობილება გასდევს ადამის, „ნისლის პოეტის, ნისლისაგან დატანილი თუშის“, და ლიზა ვახვახიშვილის ურთიერთობას. აქ ის ბიოგრაფიული შემთხვევაცაა გახსენებული, როგორ მოჰკვეთეს მოკლულ ბობღიაშვილს თავი და საბუთად ჩაიტანეს, მერე კი როგორ ხვდნენ იმის ლექსებსა და მოთხრობებს, როგორ არ უშვებდნენ ცისკენ იმის სულს და როგორ მეორდება და მეორდება ეს ტრაგიკული აღსასრული ქალის სიზმრებში, როგორ გამუდმებით შემოდის ამ სიზმრებში თოფიანი ბობღიაშვილი („აი, ხომ ხედავ, თოფი მაინც ვერ გადავაგდე, ლი, როგორც თვალები, როგორც ხელ-ფეხი, როგორც სული და როგორც სუნთქვა — ეს თოფიც დამყვა“).

ამ მძაფრი განცდებისა და ექსპრესიული მეტყველების რკალში მოქცეული მთელი ლექსი, რათა მკაფიო და სახიერი იყოს სიმბოლური ფინალი: თუ რატომ ურევია სისხლი თუშეთის მთვარეს, როგორ ჩადის იქ ბობღიაშვილის სისხლძარღვები და უძველეს სისხლს უერთდება, თილისძისა და თინიბექაის გულიდან მომდინარეს, და როგორ ერევა ამ სისხლს ლიზას ცრემლებიც:

და ამიტომაც ლამაზია თუშეთის
მთვარე, —
ანთია,
აფრქვევს,
სულ იწვება და არ იწვება.

ადამ ბობღიაშვილის ტრაგიკული ხვედრი ადრე თუ გვიან, ალბათ, რომანის თემადაც იქცევა, მაგრამ ხვალისა ხვალემ იკითხოს, ჯერ მისი ლიტერატურული მემკვიდრეობაა გამოსამზეურებელი, ჩვენი საუკუნის ქართული მწერლობის ერთი საგულისხმო ფურცელი.

თუშებს რომ ასე შემოუნახავთ მისი ხსოვნა და პოეზია, თავისთავად ესეც ბევრ რამეს მეტყველებს...

და თუ თუშეთში, კოცონის პირას იმათ სიმღერებს აყოლილი უეცრად უცნობ სტრიქონებს გამოარჩევ, ხომ უკვე იცი, ვისი ლექსები შეიძლება იყოს; კოცონის თავზე ჩამომდგარ მთვარეს კი წითელი ფერი რომ დასდებია, ასე წითლად რას გაუბრწყინებია, ესეც ხომ იცი.

როსტომ ჩხეიძე

მინაწერი: ეს მცირე სტატია 1988 წელს დაიწერა, მაგრამ მისი დაბეჭდვა მაშინ ვერ მოხერხდა.

მას მერე ვითარება სასიკეთოდ შეიცვალა: აქამდე ადამ ბობღიაშვილის ლექსების გამოქვეყნება მხოლოდ თვითგამოცემით ჟურნალში თუ შეიძლებოდა („საწმისი, 1976, № 4), გასულ წელს გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე (11 აგვისტოს ნომერი) მის პოეზიას მთელი გვერდი დაეთმო, სულ ახლახან კი ჟურნალ „მნათობში“ (№ 11) მოთხრობაც დაიბეჭდა, „სიკვდილი კაკლიანში“.

მკითხველი თანდათანობით სხვა პუბლიკაციებსაც გაეცნობა; და, რაც მთავარია, უკვე მომზადებულია გამოსაცემად ადამ ბობღიაშვილის ლექსებისა და მოთხრობების პატარა კრებული: რაც გადარჩა.

რაც შეეხება მის ტრაგიკულ აღსასრულს, ეს ცალკე თემაა და თავის დროზე მკითხველი იმასაც გაეცნობა, რადგანაც არსებობს სანდო ჩანაწერები, რომელნიც დეტალურად მოგვითხრობენ ადამის მუხანათური მკვლელობის პერიპეტიებს.

სხვათა შორის, მისი უპატრონოდ დაგდებული გვამის დამარხვის თავისთავად დრამატული ეპიზოდი გამოყენებული აქვს ნუგზარ შატაიძეს ნოველაში „გიგათ ოლა“. ეს ნოველა სულ სხვა შინაარსისაა, მაგრამ ფინალში სიტუაციის გასამძაფრებლად მწერალი ამ გადმოცემას იშველიებს.

სამი ტურის შემდეგ

როგორც ცნობილია, დაიწყო კალათბურთში ევროპის 1991 წლის ჩემპიონატის მერვედფინალური მატჩები. ჩვენ უკვე მიმოვიხილეთ ამ ტურნირში საბჭოთა კავშირის ნაკრების სასტარტო თამაშები. ახლა მცირეოდენ ინფორმაციას მოგაწვდით სხვა ჯგუფებში შექმნილ სატურნირო ვითარებაზე. შეიძლება ითქვას, რომ წინასწარი თამაშების პირველი წრის შემდეგ ფაქტობრივად გამოიკვეთა ფავორიტთა უპირატესობა და მხოლოდ ორი შედეგი შეიძლება მივიჩნიოთ მოულოდნელად. საბჭოთა კავშირის ნაკრების მარცხი ჩეხებთან და ბერძნების დამარცხება სოფიაში ბულგარელებთან.

პირველ ჯგუფში ფავორიტები, რასაკვირველია, ბერძნები არიან. მათ პირველ ტურში სტოკჰოლმში დაამარცხეს შვედები — 86:100, (54:50). ყველაზე შედეგიანი იყო ნიკოს გალისი (44 ქულა). ბულგარელებმა სტუმრად მოუგეს რუმინელებს — 98-76 (56:33). მეორე ტურში ბერძნებმა საკუთარ მოედანზე შეუდარებელი, ნიკოს გალისის (46 ქულა) სნაიპერული თვისებების წყალობით სძლიეს რუმინელებს — 99:77 (45:41). ჩვენი აზრით, მეტად საჭირო გამარჯვება მოიპოვეს გასვლით მატჩში ბულგარეთის ნაკრებთან შვედებმა — 81:69 (38:28). სავარაუდოა, რომ ამ დამარცხებამ შეიძლება გარკვეული სიძნელეები შეუქმნას ბულგარელებს შემდგომ ეტაპზე გასვლის საქმეში. მესამე ტურში წაიფორხილეს ევროპის ვიცეჩემპიონებმა ბერძნებმა. ისინი დამარცხდნენ ბულგარელებთან მატჩში — 78:84 (44:39). ამ მატჩის ნამდვილი გმირი იყო გეორგ გლუშკოვი (17 ქულა, 23-ჯერ დაეუფლა ფარიდან ასხლეტილ ბურთს). ნიკოს გალისის (44) შედეგიანობამ ამჯერად საქმეს ვერ უშველა. შვედებმა ძნელი მატჩი მოუგეს რუმინელებს — 85:81 (45:47). ერთბაშად სამ გუნდს აქვს ორი გამარჯვება: საბერძნეთის, ბულგარეთის და შვეციის ნაკრებს.

მეორე ჯგუფში ფავორიტებად იტალიისა და ჰოლანდიის ნაკრებებს ასახელებდნენ. „სკუადრა აძურამ“ სამივე მატჩი მოიგო. ჯერ მან ბელგიელებს სძლია — 97:76 (45:44). ყველაზე შედეგიანები იყვნენ: რიგვა (28 ქულა), რუსკონი (15), ნაგიოფიკი (15). შემდეგ იტალიელებმა პოლონელები დაამარცხეს, ხოლო მესამე ტურში სტუმრად დაძაბულ ბრძოლაში მინიმალური ანგარიშით მოუგეს ძირითად კონკურენტებს ჰოლანდიის ნაკრებს — 84:83, (43:44). „სკუადრა აძურაში“ რიგებში ყველაზე შედეგიანი იყო რივა (23 ქულა), რუსკონი (19). ორი მატჩი მოიგეს ჰოლანდიელებმა. მათ ჯერ პოლონელებს სძლიეს — 101:71 (58:30) შემდეგ კი ბელგიელებს — 87:71 (47:30).

მესამე ჯგუფში ფავორიტი, ბუნებრივია, ევროპის ჩემპიონი იუგოსლავიის ნაკრებია. მეორე, ალბათ, ესპანეთის ნაკრები იქნება. იუგოსლავიელებმა პირველ ტურში სტუმრად მოუგეს გფრ-ს ნაკრებს — 111:75 (55:36). გამარჯვებულთა გუნდში ყველაზე შედეგიანები იყვნენ: დინო რაჯა (21 ქულა), პრედრაგ დანილოვიჩი და ველიმირ პერაზოვიჩი (17-17 ქულა), მეორე ტურში იუგოსლავიელებმა საკუთარ მოედანზე 4000 მაყურებლის თანდასწრებით დამაჯერებლად დაამარცხეს ინგლისის ნაკრები — 108:85 (52:41). კვლავ თავი გამოიჩინეს დინო რაჯამ (20 ქულა). და ტონი კუკოჩმა (19). ორი გამარჯვება მოიპოვეს ესპანელებმა. მათ ჯერ ინგლისის ნაკრები დაამარცხეს — 99:83 (47:40). გამარჯვებულთა გუნდში ყველაზე შედეგიანი იყვნენ: ჯორდი ვილეკამპა (23 ქულა), ანტონიო მარტინი (21), ხოსე ბირუკოვი (17). მეორე ტურში ესპანელებმა საკუთარ მოედანზე ძნელი გამარჯვება მოიპოვეს გფრ-ს ნაკრებთან მატჩში — 75:64 (28:32) მასპინძელთა გუნდში ყველაზე შედეგიანი იყვნენ ანტონიო მარტინი (22 ქულა) და ხოსე ბირუკოვი (18). ფავორიტების მატჩი პალმა დე მალიორკაში იუგოსლაველთა უპირატესობით წარიმართა, რაც დიდად განაპირობა ტონი კუკოჩის (34 ქულა) და დინო რაჯას (23) ბრწყინვალე თამაშმა. 108:97 (60:46) გაიმარჯვეს იუგოსლავიელებმა. მასპინძლებს ვერ უშველა ჯორდი ვილეკამპას (30 ქულა) კარგმა თამაშმა. მესამე ჯგუფში ლიდერობს იუგოსლავიის ნაკრები. მას სამი გამარჯვება აქვს. ორი გამარჯვება მოიპოვა ესპანეთის ნაკრებმა.

მეოთხე ჯგუფის ფავორიტი საბჭოთა კავშირის ნაკრებია. აქ ძირითადი დავა — მეორე ადგილისათვის ბრძოლა იქნება: ისრაელის ნაკრებმა მერკელის (31 ქულა), ჰანფელდის (23) და ჯამცის (22) სნაიპერული სროლების შედეგად მეტად საჭირო გამარჯვება მოიპოვა საფრანგეთთან მატჩში — 99:93 (55:46). დამარცხებულთა შორის ყველაზე შედეგიანები იყვნენ: დაკური (28) და ოსტროვსკი (22). მატჩში საფრანგეთის ნაკრებმა დაამარცხა ჩეხები — 93:72 (42:35). მესამე ტურში ძალზე საჭირო გამარჯვება მოიპოვა ჩეხოსლოვაკიის ნაკრებმა. მან ისრაელის ნაკრები დაამარცხა — 93:82 (51:38), გამარჯვებულთა გუნდში ყველაზე შედეგიანი იყო სვიტეკი (21 ქულა). მეოთხე ჯგუფში შექმნილი სატურნირო მდგომარეობა ასეთია: ორ-ორი გამარჯვება აქვთ საბჭოთა კავშირის და ჩეხოსლოვაკიის ნაკრებს. საფრანგეთის და ისრაელის ნაკრებმა თითო გამარჯვება მოიპოვეს.

მერაბ კალანდაძე

ყრილობის ექო

რად ღელავენო?

სკოლის მერხებთან წლებდათოვლილი მასწავლებელი ახლაღა ვაღიარებ, რომ მოზარდების ცნობისმოყვარეობას ხშირად ვერა და ვერ ვაკმაყოფილებთ, ვერ ვაძლევთ ამომწურავ, ჭეშმარიტ პასუხს ამა თუ იმ საყოველთაოდ გახმაურებულ მოვლენაზე ობიექტური მიზეზების გამო. აი, ერთი ამგვარი საკითხთაგანი, რამაც სულხორციანად შემძრა: ყრილობაზე გამოსულმა ერთმა გენერალმა ავტორიტეტულად განაცხადა, თითქოს რესპუბლიკას დიდძალი ვალი აწევს, რაც დამოუკიდებლობის მიღების შემთხვევაში საზღაურად უნდა გადაიხადოს. როგორც ჩანს, მას არ დაუანგარიშებია იმ სოლიდური თანხიდან გამოსაკლებად, თუ რა უჯდება რესპუბლიკას ჟამთა სიავით შემოხიზნული, ახლა კი მკვიდრად მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების, (მათ შორის საკმაო პროცენტი რუსები) გამრავლება და ყველას შთამომავალთა ცალ-ცალკე დასახლება; (მაპატიონ ამ ერების წარმომადგენლებმა ეს იძულებითი ანგარიშგება) ამდენად, მებადება კითხვა: ნუთუ საამისოდ გაღებული ჩვენი ეროვნული შემოსავალი არ უნდა გადაეთვალა ბატონკაცურად განწყობილ, უფლებამოსილ სამხედრო პირს? ანდა, თუ რესპუბლიკის ამგვარად რჩენა უწევს თურმე უკვე შიმშილობამდე მისულ რუს ხალხს, რატომ კეთილგონიერებას არ მოუხმობენ და „პარაზიტ ერებს“ არ მოიხსნიან კისრიდან? მე პირადად არც ნაციონალისტი ვარ და არც ავანტიურისტი, რომ მისხალ მისხალ ვიანგარიშო ის დოვლათი, წლიდან წლამდე რომ იგზავნება ჩვენი ქვეყნიდან დიდ რუსეთსა თუ სხვა მოძმე რესპუბლიკებში, რის შესახებაც ჩვენში არაფერს ლაპარაკობენ, თუმცა ეგ კია, იტყვიან ხოლმე, რომ დემოკრატია სხვა საქმეა და ცილისმწამებლური ტონით საჯარო გამოსვლა სხვა — იტყვიან მხოლოდ მედიდურად მოძალებული გენერლის ზრახვათა საპასუხოდ, და არა ვინმეს დასამადლებლად.

ერთი რამ ვერა და ვერ გავარკვიეთ: ჩვენზე დაკისრებულ თანხაში იქნება შქდის ტონობით დასხივებული და უკვე ამძაღებული ხორცის საფასური, ჩერნობილიდან რომ „დაგვასაჩუქრეს“ იმ ძმური თავდადების საზღაურად. არც ჩვენთან ჩამოყვანილ იქაურებს ვაყვედრით რამეს, გამოჩენილი მორალური თანადგომისა და მატერიალური დახმარების თვალსაზრისით; მაგრამ... მეტი უმადურება და ძალმომრეობა გაგონილა?

რად ღელავენო? — გაგვიმეტეს, გაგვწირეს, და დიდი თუ პატარა ერთბაშად ცდილობს ფეხით გაგვთელოს, ვითარცა დაბალი ღობე. არა და რამდენი ბატონის ყმად ვითვლებითო, ან ვის გავეთელინოთ? — ეს არ არის რიტორული კითხვა, ან მუქარა, არამედ ლოგიკურად წამოჭრილი საკითხი, ასე რომ აბორგებს რესპუბლიკის ახალგაზრდობას. ახლაც თბილისში განგაშია იმის გამო, რომ ვერაფერი მოვუხერხეთ ჩერნობილელთა „ძღვენს“. რადიაციულ ხორცს. იქნება ამ უსიამოვნებისაგან გვიხსნას ცენტრალურმა ხელისუფლებამ ამ არმოსასვენებელი მასის ჩამოწერით და მეორეც: მანვე გამოყოს აუთვისებელი ზონა, თუნდაც სამხედრო ხელოვნებისათვის საცდელი აფეთქებების პოლიგონი, მის გასაქრობად. ამ მორალური თანადგომით ეგება სიმშვიდე და უშიშროება დაივანებს ჩვენს რესპუბლიკაშიც. ვბედავ ამის თქმას ზევიდან სწრაფი და გონივრული ჩარევის მოლოდინით; მაქვს კიდეც ამის თქმის საბაბი: თუკი 9 აპრილის სისხლიანმა ექომ თურმე დაგვიანებით და ისიც მცდარი პუბლიკაციით მიაღწია საბჭოთა კავშირის მეთაურთან, მაშ, ამ „წვრილმანს“ ვინღა გახდიდა გენერალურ მდივანთან მსჯელობის საგნად? არადა რა ვქნათ? ნურავინ დამძრახავს სკოლის მერხებთან წლებდათოვლილ პედაგოგს, ნუ ჩამითვლიან ამ განცხადებას მეტისმეტ სითამამედ, რადგან დეპუტატობასაც არავინ გვაღირსებს, თორემ თავად მივიტანდით სათქმელს ჩვენი ქვეყნის თავკაცებთან. ჩემი იდეოლოგიური მრწამსით კი ვეკუთვნი დღევანდელობას და მინდა ვიდგე მოწინავე ახალგაზრდობის შეგნებულად აბობოქრებულ ავანგარდში; ამასთანავე გავიმეორებ კ. გამსახურდიას გმირის ნათქვამს: „მე იმ წყობილების მომხრე ვარ, რომელიც წილად ხვდა ჩემს ხალხს“. ობიექტური ინფორმაციებით აღჭურვილი თანამედროვე მოსწავლე-ახალგაზრდობა წლების მანძილზე უამრავ სერიოზულ საკითხს წამოჭრის და ითხოვს კიდეც პირუთვნელ განმარტებებს ჩვენგან — პედაგოგებისაგან, ვინც უძლური ვართ, დამაჯერებელი პასუხი გავცეთ მრავალ საჩოთირო კითხვას (კონკრეტულად ზემოდხსენებულ თემაზეც), მაგრამ რჩება და რჩება ისინი უთქმელად, ე. ი. უპასუხოდ, — აი, რამ შეგვილახა ავტორიტეტი, დაგვიკარგა ნდობა ყველას თვალში.

დიახ, ცენტრიდან სანდო და საიმედო „განაჩენის“ მოლოდინში ვართ, რამაც სასიკეთოდ უნდა მოაქციოს ქართველების ბედი, მისცეს ჩვენს სახელოვან ახალგაზრდობას სტიმული წინსვლისა და შემოქმედებითი შრომის.

ციცინო ქვათაძე,
თბილისის 24-ე საშუალო სკოლის პედაგოგი.

ეკოლოგიური კონკურსები



1. ბუნების დაცვის დარგში მიღწეული კონკრეტული შედეგებისათვის

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირი (ეკოდემოგრაფიული სექცია), საქართველოს ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტი, საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოება და გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქცია აცხადებს ეკოლოგიურ კონკურსს, რომლის მთავარი მიზანია გამოავლინოს საქართველოში ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების დარგში მიღწეული კონკრეტული უმნიშვნელოვანესი შედეგები, წარმოაჩინოს ბუნების ქომაგთა წვლილი ეკოლოგიური ვითარების გაუმჯობესების საქმეში.

ბუნებადაცვითი თემატიკა მრავალფეროვანია: ადამიანის ჯანმრთელობა და კეთილდღეობა, დასახელებული ადგილები, ბიოლოგიური, ეკონომიკური, მსოფლმხედველობრივი, სამართლებრივი, სოციალური, ფიზიკური და ქიმიური ასპექტები, ბუნებრივი და გენეტიკური რესურსები, გარემოს გაჭუჭყიანება, ნარჩენები, ენერგეტიკა, მტკნარწყალიანი და ზღვის გარემო, მიწათსარგებლობა, მცენარეული საფარი; ცხოველთა სამყარო, სასურსათო პროგრამა და სოფლის მეურნეობა, სტიქიური უბედურებანი, მრეწველობა, ტრანსპორტი, უნარჩენო და უსაფრთხო ტექნოლოგია...

საკონკურსოდ მიიღება და შეფასდება ბუნების ქომაგთა მიერ უკანასკნელ წლებში განხორციელებული უმნიშვნელოვანესი პრაქტიკული საქმე, რომელმაც 1990 წელს უკვე მოგვცა (ან უნდა მოგვცეს) რეალური ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური შედეგი, როცა წარმოდგენილია რამდენიმე ადამიანის ნამუშევარი, სასურველია აღინიშნოს თითოეული წევრის წვლილი, მიეთითოს ხელმძღვანელი.

კონკურსი ღიაა — მასში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მსურველს, რომლის ნაშრომ-ნაღვაწიც კონკურსის მოთხოვნებს ეხმიანება. მასალები წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს ჟურნალისტთა კავშირში მისამართით: 380096 თბილისი, ლენინის ქუჩა № 14. სახელდობრ, წარმოდგენილი უნდა იყოს ბუნების დაცვის დარგში მიღწეული კონკრეტული შედეგების სრული აღწერა (საჭიროების შემთხვევაში — სქემით, ნახაზებითა თუ ფოტოსურათებით) და საზოგადოებრივი ან სახელმწიფო ბუნებადაცვითი ორგანიზაციის კოლექტივის წარდგინება-დასკვნა, თუ რაში გამოიხატება მისი მნიშვნელობა და სარგებლიანობა, ვინ, სად, როდის და რა გააკეთა, რა საშუალებით, რისთვის და როგორ?

საკონკურსოდ არ მიიღება ნამუშევრები, რომლებიც შესრულებულია იმ პირთა მიერ, რომლებსაც ეს საქმე სამსახურებრივად ევალებათ.

წარმოდგენილ მასალებს განიხილავს საგანგებოდ შედგენილი მეცნიერ-ეკოლოგთა და სპეციალისტთა კომისია. ნაშრომთა ჩაბარების ბოლო ვადაა 1990 წლის 30 აპრილი, მაგრამ მასალები უკვე ამ განცხადების გამოქვეყნების დღიდან მიიღება საჭიროებისამებრ, ადგილზე შეისწავლება და ყოველ თვის ბოლოს განიხილება. გამარჯვებულთა სახელები გამოქვეყნდება 1990 წლის 5 ივნისს — გარემოს დაცვის მსოფლიო დღეს.

კონკურსში გამარჯვებულთათვის დაწესებულია შემდეგი პრემიები:

ერთი პირველი პრემია 1000 მანეთის ოდენობით.

ორი მეორე პრემია 700-700 მანეთის ოდენობით.

სამი მესამე პრემია 500-500 მანეთის ოდენობით.

გარდა ამისა, დაწესებულია ეკოლოგიურ, ეკონომიკურ, საბუნებისმეტყველო და სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა სპეციალური პრიზები და ჯილდოები.

ყველა უმნიშვნელოვანესი კონკრეტული შედეგების ავტორთა საქმიანობის ამსახველი მასალები გამოქვეყნდება პრესაში, გადაიცემა ტელევიზიითა და რადიოთი, წარმოდგენილი იქნება სპეციალური გამოფენის სახით.

2. ეკოლოგიურ-პუბლიცისტური ნაწარმოებებისათვის

ჭეშმარიტი ეკოლოგიური ინფორმაციის მოპოვება და გავრცელება, და, რაც მთავარია, ეკოლოგიურ-პუბლიცისტური ნაწარმოებების შექმნა არანაკლებ მნიშვნელოვანი საქმეა, ვიდრე პრაქტიკული ბუნებადაცვითი საქმიანობა. მკითხველებს აინტერესებთ ერისა და ქვეყნის კულტურისა და ტრადიციის პატივისცემისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნათა შესაბამისად ხორცშესხმული ეკოლოგიური იდეები, პროექტები, გამოგონებანი, „ცხელი“ ეკოლოგიური წერტილების გაჩენის მიზეზები და მათი თავიდან აცილებისათვის გაჩაღებული მოძრაობა, ბუნების ქომაგთა, ანუ მწვანეთა სულიერი სამყარო.

კონკურსი ღიაა — მასში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მსურველს. ავტორმა უნდა წარმოადგინოს ორი ინტერვალით გადაბეჭდილი ტექსტი 10-12 გვერდის მოცულობით, თუ საჭიროა დაურთოს ილუსტრაციები (ორ-ორი ცალი). ეს საკონკურსო მასალებიც წარმოდგენილი უნდა იყოს ჟურნალისტთა კავშირში ზემოაღნიშნული მისამართით.

მათი ჩაბარების ბოლო ვადაა 1990 წლის 30 აპრილი, მაგრამ სასურველია ავტორებმა ნაწარმოებები ამ განცხადების გამოქვეყნების შემდეგ შეძლებისამებრ დროულად გამოგზავნონ, რათა ასევე საგანგებოდ შექმნილ ეკოლოგთა და ჟურნალისტთა კომისიას ჰქონდეს მათი შესწავლისა და გამოქვეყნების საშუალება.

გამარჯვებულთა სახელები გამოქვეყნდება 5 ივნისს. დაწესებულია შემდეგი პრემიები:

ერთი პირველი პრემია — საზღვარგარეთ მოგზაურობის საგზური (ეკოლოგიური თვალსაზრისით);

ორი მეორე პრემია — ორკვირიანი შემოქმედებითი მივლინება საქართველოს ან სსრ კავშირის მიზანშეწონილ მხარეში;

სამი მესამე პრემია — მეცნიერების, განათლებისა და კულტურის დარგის საზოგადოებათა და ორგანიზაციათა სპეციალური ჯილდო — 500 მანეთის ოდენობით თითოეული.

ყველა მნიშვნელოვანი ნაწარმოები გამოქვეყნდება პრესაში, გადაიცემა ტელევიზიით, რადიოთი, თავს მოიყრის სპეციალურ ეკოლოგიურ კრებულში. ავტორებს გამოეწერებათ გაზრდილი ჰონორარი.

სპორტი

„სპორტის დედოფალი“ მძლეოსნებს ასახელებს

პროფკავშირთა ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოება „შევარდენის“ პირველი გუნდის მძლეოსნებმა თბილისში გაიმარჯვეს რესპუბლიკის ზამთრის ჩემპიონატში. მეორე ადგილზე გავიდნენ მათი თანაკლუბელები მეორე კოლექტივიდან, მესამეზე — სპორტსაზოგადოება „მართვეს“ (ყოფილი „შრომითი რეზერვები“) წარმომადგენლები.

გამარჯვებულთა შორის საკმაოდ კარგი შედეგები უჩვენეს სსრ კავშირის ნაკრები გუნდის წევრმა, სოხუმელმა დინამოელმა ტარიელ ბიწაძემ, რომელმაც ბირთვი 18 მეტრსა და 55 სანტიმეტრზე ჰკრა, თბილისელმა უროს მტყორცნელმა იოსებ შავერდაშვილმა („შევარდენი-1“), რომლის ნატყორცნი ურო 72 მეტრსა და 42 სანტიმეტრზე გაფრინდა, ასევე თბილისელებმა და მისმა თანაკლუბელებმა ანა შახიძემ და გელა ვეშაპიძემ, რომლებმაც უჩვენეს სსრ კავშირის სპორტის ოსტატის შედეგები — შესაბამისად 60 მეტრზე რბენაში (7,45 წამი) და 60 მეტრზე თარჯრბენში (7,92 წამი).,

ასპარეზობის შედეგების მიხედვით შეარჩიეს კანდიდატები საქართველოს ნაკრები გუნდისათვის, რომელიც ჩელიაბინსკში 3 და 4 თებერვალს მონაწილეობას მიიღებს ქვეყნის ზამთრის ჩემპიონატში.

სტარტზე არიან ხუთჭიდელები

თბილისში გაიმართა საქართველოს თასის გათამაშება თანამედროვე ხუთჭიდში, რომელსაც დაეუფლა „შევარდენი-1“ გუნდის წევრი რევაზ ლოხიშვილი. მან გაიმარჯვა ფარიკაობაშიც. ვერცხლის მედალი მოიპოვა დინამოელთა პირველი გუნდის წევრმა ნოდარ შამოიანმა, რომელმაც ყველას აჯობა სროლაში. ბრინჯაოს პრიზიორი გახდა „შევარდნის“ პირველი გუნდის წევრი ბორის კაცებინი, რომელმაც თანაკლუბელ იური შიტუხინთან ერთად გაიმარჯვა ცურვაში.

ცხენოსნობაში საუკეთესო იყო გიორგი გოქაძე („შევარდენი-2“), მძლეოსნურ კროსში კი თემურ გასახოვი („დინამო-1“).

გუნდურ ჩათვლაში საპატიო პრიზი მოიპოვეს „შევარდენი-1“ გუნდის წარმომადგენლებმა, რომლებმაც 16.912 ქულა მოაგროვეს. მეორე ადგილზე გავიდნენ დინამოელთა პირველი გუნდის წევრები (15.746), მესამეზე — არმიელი ხუთჭიდელები (15.527).

საქართველოს ხუთჭიდელებს მომდევნო სტარტი ექნებათ ესტონეთის მინისტრთა საბჭოს პრიზის გათამაშებაზე, რომელიც 5 თებერვალს დაიწყება ტალინში.

მშვილდოსანთა შეჯიბრება

თბილისში დამთავრებულ მშვილდოსანთა რესპუბლიკურ ჩემპიონატში საქართველოს ახალი რეკორდი დაამყარეს „მართვეს“ სპორტსმენმა გოგონებმა. „ფიტის დიდი წრის“ ვარჯიშში მათ 985 ქულა მოაგროვეს. ვაჟთა შორის ამ სახეობაში საუკეთესონი იყვნენ „შევარდენის“ სპორტსმენები.

პირად ჩათვლაში ჩემპიონები გახდნენ თბილისელები ხათუნა ქვრივიშვილი („მართვე“) და ვლადიმერ სვანიძე („შევარდენი“). ვერცხლის მედლები მოიპოვეს ნატო ნასარიძემ (თბილისი, „მართვე“) და თამაზ ბასილაძემ (აჭარა, „შევარდენი“), ბრინჯაოს მედლებს დაეუფლნენ რესპუბლიკის დედაქალაქის წარმომადგენლები ლანა ვერულიძე („შევარდენი“) და გრიგოლ დოლიძე („მართვე“).

19-25 იანვარს ჩებოქსარში გაიმართება სსრ კავშირის ჭაბუკთა საუწყებათშორისო პირველობა, რომელშიც ჩვენს რესპუბლიკას წარმოადგენენ „მართვეს“ გუნდის წევრები ხათუნა ქვრივიშვილი და სულიკო თოფურია, აგრეთვე არმიელი სპორტსმენები იუტა ბაქორი და ვიქტორია იაილოვა.

საქინფორმი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

აცხადებს, რომ 1990 წელს ტექნიკურ უნივერსიტეტში შემსვლელები მისაღებ გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში:

1. არქიტექტურის ფაკულტეტზე: ხატვა, მათემატიკა (წერა); მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა); ხაზვა.
2. ქიმიური ტექნოლოგიის ფაკულტეტზე და სალამოსა და დაუსწრებელი სწავლების ქიმიური ტექნოლოგიის სპეციალობებზე: ქიმია (ზეპირი); მათემატიკა (წერა); მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა);
3. საინჟინრო-ფიზიკურ ფაკულტეტზე: ფიზიკა (ზეპირი), მათემატიკა (წერა); მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა).
4. ყველა დანარჩენ ფაკულტეტებზე: მათემატიკა (წერა); ფიზიკა (ზეპირი); მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა).

მედალოსნები და წარჩინების დიპლომის მქონენი (რომელთაც აქვთ უფლება პირველ საგანში „ხუთის“ მიღების შემთხვევაში განთავისუფლდნენ მომდევნო გამოცდების ჩაბარებისაგან) აბარებენ ჩამონათვალში მითითებულ პირველ საგანს ფაკულტეტების მიხედვით.

მისაღები გამოცდების ბილეთებში თეორიული საკითხები (ფიზიკის, ქიმიის, მშობლიური ენისა და ლიტერატურის) შეტანილი იქნება სსრ კავშირის უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების პროგრამებიდან, ხოლო ამოცანებისა და მაგალითების ტიპები:

მათემატიკაში: 1) საშუალო სკოლის მათემატიკის სახელმძღვანელოები. 2) ს. თოფურია და სხვ., „მათემატიკა“, ნაწილი I (ალგებრა და ანალიზის საწყისები); ნაწილი II (გეომეტრია), გამომც. „განათლება“, 1987წ. 3) ლ. მძინარიშვილი და სხვ., „მათემატიკის ამოცანათა კრებული“, გამომც., „განათლება“, 1989 წ. დამატებით გთავაზობთ აგრეთვე В. К. Егоров и др., под редакцией М. И. Сканави, «Сборник конкурсных задач для поступающих во ВТУЗ-ы», М., «Высшая школа», 1980 г., В. М. Говоров и др., «Сборник конкурсных задач», М., «Наука», 1985 г.

ფიზიკაში: 1) საშუალო სკოლის სახელმძღვანელოების სავარჯიშოები. 2) ა. რიმკევიჩი „ფიზიკის ამოცანათა კრებული“, გამომც. „განათლება“, 1987 წ. 3) ვ. დემკოვიჩი, ლ. დემკოვიჩი „ფიზიკის ამოცანათა კრებული“, გამომც., „განათლება“, 1986 წ.

ქიმიაში: 1) საშუალო სკოლის ქიმიის სახელმძღვანელოების სავარჯიშოები. 2) ი. გოლდფარბი და სხვ. „ამოცანებისა და სავარჯიშოების კრებული ქიმიაში“, გამომც. „განათლება“, 1986 წ. (ან 1984 წ.).

მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში გამოცდა ჩატარდება ინდივიდუალური ბილეთებით, წერითი ფორმით. მათთვის, ვინც ამთავრებს რუსულ საშუალო სკოლას, სადაც ქართული ენა და ლიტერატურა შეისწავლება როგორც ზოგადსაგანმანათლებლო, და აქვთ სურვილი მისაღები გამოცდები ჩააბარონ ქართულ სექტორზე შესასვლელად, ინდივიდუალური ბილეთები შედგენილი იქნება შესაბამისი პროგრამით.

მიმღები კომისია

განცხადებები

ა/წლის 26, 27 და 28 იანვარს თბილისის სპორტის სასახლეში ტარდება ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში. მონაწილეობენ: გდრ, ბულგარეთი, კუბა, ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი, მონღოლეთი, აშშ, თურქეთი, კანადა, ირანი, გფრ, რუმინეთი, სსრკ და საქართველო.

დასაწყისი: 11-00 და 18-00 საათზე.

ბილეთები იყიდება სპორტის სასახლის სალაროებში.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატი აცხადებს, რომ მიმდინარე წლის 1 თებერვლიდან დაუსწრებელი სწავლების ეკონომიკის, ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის, საინჟინრო-ეკონომიკურ ფაკულტეტებზე (პირველიდან მეხუთე კურსების ჩათვლით) ჩატარდება საგამოცდო სესიები. სტუდენტთა გამოცხადება სავალდებულოა. საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის მეექვსეკურსელთათვის საგამოცდო სესიები დაიწყო 15 იანვრიდან.

რექტორატი.

რედაქტორი
მერაბ ბალარჯიშვილი

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. № 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო
კორპუსზე. [illegible] 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13
უე 00117